

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ხათუნა ბელოშვილი

ქართველთა გენეზისის მითად გარდაქმნა XX საუკუნის ქართულ
მწერლობაში (გრიგოლ რობაქიძე, ტიციან ტაბიძე, ანა კალანდაძე, როსტომ
ჩხეიძე)

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა
ფაკულტეტზე ქართული ლიტერატურის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: მარინე ცერცვაძე

პროფესორი

გორი

2021

ანოტაცია

საკვლევი თემის სათაურია „ქართველთა გენეზისის მითად გარდაქმნა XX საუკუნის ქართულ მწერლობაში“. ნაშრომში განხილულია გრიგოლ რობაქიძის, ტიციან ტაბიძის, ანა კალანდაძისა და როსტომ ჩხეიძის შემოქმედებაში ქართველი ერის ფესვების, ქართული სულის სათავის ჩამოყალიბების ძიება; ისტორიული წყაროების მოშველიებით, ავსენით ზემოთ აღნიშნული მწერლების შემოქმედების კონკრეტულად ეს მოტივები.

ნაშრომის კვლევის საგანია მოცემული მწერლების შემოქმედებაში უძველეს წინაპრებად მიჩნეული ხალხებისადმი მიძღვნილი პროზისა თუ პოეზიის პნკარები.

ნაშრომში თავი მოვუყარეთ მათ მიერ ამ თემაზე დანერგულ ნაწარმოებებს და XXI საუკუნის გადასახედიდან, ახალი ხედვით, მივიტანეთ ეს ასპექტები მკითხველამდე. აღნიშნულ თემაზე დღემდე არ არსებულა ასეთი სახის ნაშრომი, რაც ართულებდა კვლევის პროცესს, განვიხილეთ გრიგოლ რობაქიძის, ტიციან ტაბიძის, ანა კალანდაძის, როსტომ ჩხეიძის შემოქმედების აღნიშნული პერიპეტიები და მათ ირგვლივ არსებული კრიტიკული მსჯელობანი. მოვიყვანეთ სისტემაში ჩვენს მიერ შერჩეული მწერლების შემოქმედების ის ერთეულები, რომლებიც ეხმიანებიან საკვლევ თემას და დავადგინეთ ამ პოეტური თუ პროზაული ნაწარმოებების მთავარი თემის გენეზისი; ასევე, გამოვკვეთეთ მათი მიმართება თანამდროვე შემოქმედებით პროცესთან.

ძიების მიზნებთან დაკავშირებით, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს ქართველთა ქალდეური ფესვების მტკიცება, თუმცა, უდავოა, რომ ქართველი ერი უძველესი ხალხის შთამომავალია.

საბოლოოდ, დავსძენთ, რომ ჩვენი კვლევა მხოლოდ ერთი პატარა ნაწილია ქართული ფესვების ლიტერატურაში გარდასახვის მრავალი მცდელობისა; მისი ძირითადი მიზანია მკითხველში ინტერესის გაღვივება შემდგომი კვლევა-ძიებისთვის.

ნაშრომი შედგება ოთხი თავისგან; პირველ თავში განხილულია XX საუკუნის ისტორიული ძიების მიღწევები ქართველთა უძველესი ბინადრობის შესახებ, ასევე, საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა და გრიგოლ რობაქიძის რომანი „გველის პერანგი“. მეორე თავში - ტიციან ტაბიძის ის ლექსები, რომლებიც უკავშირდება საკვლევ თემას. მესამე თავში შევხებით პავლე ინგოროყვას სენსაციურ აღმოჩენას და მის გავლენას ანა კალანდაძის შემოქმედებაზე, პოეტი ქალის ამ თემატიკის ლექსებთან ერთად. მეოთხე თავში განვიხილავთ როსტომ ჩხეიძის ძიებებს, რომლებშიც მწერალი ცდილობს ქართული ფესვებისა და ხასიათის თავისებურებების ამოხსნას.

Annotation

Kh. Bedoshvili

The title of the research subject is „Transformation of Georgian Genesis into a Myth in Georgian Literature of the XX Century”. In the work we discussed the search for the roots of the Georgian nation, the origin of the Georgian soul in the works of Grigol Robakidze, Titsian Tabidze, Ana Kalandadze and Rostom Chkheidze; Using historical sources, we have explained specifically these motives of the works of the above-mentioned writers.

The subject of the research is the prose or poetry dedicated to the peoples considered to be the ancient ancestors in the works of these writers.

In the work we have gathered the works written by them in this regard and from the perspective of the XXI century, with a new perspective, we have brought these aspects to the reader. To date, there has been no such work on this subject, which complicated the research process.

Aim of the work: We discussed the mentioned vicissitudes of the works of Grigol Robakidze, Titsian Tabidze, Ana Kalandadze, Rostom Chkheidze and the critical discussions around them. We have brought into the system those units of creativity of the writers we have selected which respond to the research subject and we have established the genesis of the main theme of these poetic or prose works; We also highlighted their relationship to the contemporary creative process.

Regarding the purposes of the research, we must note that our goal is not to prove the Chaldean roots of the Georgians, however, there is no doubt that the Georgian nation is a descendant of the ancient people.

Finally, we note that our research is only a small part of the many attempts to transform Georgian roots into literature; Its main purpose is to arouse the interest of the reader for further research.

The work consists of four chapters; The first chapter discusses the achievements of the XX century historical research on the ancient inhabitants of Georgia, as well as the political situation in Georgia and Grigol Robakidze's novel „Snake Shirt”. In the second chapter - the poems of Titsian Tabidze, which are related to the research subject. In the third chapter we will touch the sensational discovery of Pavle Ingorokva and its influence on the creativity of Ana Kalandadze, together with the poems of this poet woman. In the fourth chapter we

discuss the researches of Rostom Chkheidze, in which the writer tries to solve the Georgian roots and peculiarities of character.

სარჩევი

შესავალი.....	5
თავი 1. ქართველთა გენეზისი და მითოსი	
§1.1. ქართველთა უძველესი ბინადრობა.....	11
§.2. XX საუკუნის საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობის მცირე მიმოხილვა.....	15
§.3. ქართველთა გენეზისის მითად გარდაქმნა გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგის“ მიხედვით.....	21
§.4. ქართული ხასიათისა და რასის პრობლემა რომანში „გველის პერანგი“.....	30
თავი 2. „ქალდეას ქალაქების“ თემა ტიცვიან ტაბიძის შემოქმედებაში	
§.1. ტიცვიან ტაბიძის „ქალდეური ციკლის“ ლექსები.....	34
§. 2. ქალდეას არქეტიპი ტიცვიან ტაბიძის პოეზიაში.....	41
თავი 3. ქართველთა უძველესი წარმოშობის გამოძახილი ანა კალანდაძის და როსტომ ჩხეიძის შემოქმედებაში	
§.1. ქართველთა წარმოშობის შესახებ არსებული თეორიების გავლენა ანა კალანდაძის ლირიკულ პოეზიაზე.....	45
§. 2. ანა კალანდაძე - მზის თაყვანისმცემელი ქურუმი.....	51
§.3. როსტომ ჩხეიძის „ქალდეას მონატრების“ კვალდაკვალ, ანუ XXI საუკუნის ქალდეური ნოსტალგია.....	54
დასკვნა.....	65
ბიბლიოგრაფია.....	70

შესავალი

სიახლე - ქართუ, კარდუ, ქალდე, კალდე... მიუხედავად მრავალი მსგავსი არქეტიპისა, ჩვენს მიერ განხილული მწერლები ღღემდე არავის გაუერთიანებია ამგვარი სათაურის ქვეშ და ამ კუთხით არ ჩატარებულა ლიტერატურულ-მეცნიერული კვლევა-ძიება.

ნაშრომში სისტემაში მოვიყვანეთ თემასთან მიმართებით არსებული ლიტერატურა, ერთი ქარგის ქვეშ გავაერთიანეთ და ერთმანეთს დავუკავშირეთ სხვადასხვა დროში მოღვაწე შემოქმედნი, აღვნიშნეთ მათი შემოქმედების ის ძარღვი, რასაც ქართული ფესვების ძიება ჰქვია და მოვაქციეთ ეს კვლევა ლიტერატურულ ჩარჩოში.

განვიხილეთ ის მეცნიერული შრომები, რომლებიც ქართველი ერის წარმოშობასა და წარმომავლობას უკავშირდება და საფუძვლად უდევს ჩვენს მიერ შერჩეულ მწერალთა შემოქმედებას. ამასთან, ყურადღება გავამახვილეთ იმ თეორიებსა და ჰიპოთეზებზე, რომელთა დასაბუთება მეცნიერული და არქეოლოგიური კვლევა-ძიებით არ დასტურდება, თუმცა მათი გამოძახილი მკაფიოდ ხშიანდება მხატვრულ ლიტერატურაში.

ცნობილი და გავრცელებული ლიტერატურის გარდა, გამოვიყენეთ ისეთი ნაშრომებიც, რომლებიც ჯერ კიდევ უცნობია ფართო მასებისთვის და

მნიშვნელოვან ინფორმაციას გვანვლიან შემოქმედების მოტივის კიდევ უფრო ღრმა სახისმეტყველებითი ანალიზისათვის.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ახლებური თვალსაზრისით გაშუქდეს ჩვენ მიერ შერჩეული მწერლების შემოქმედების ეს მიმართულება.

აქტუალობა - გრიგოლ რობაქიძისა და ტიცუან ტაბიძის შემოქმედებაში ქართული ფესვების ძიებასა და მისი კაცობრიობის შორეულ წარსულში მიკვლევას, გარდა ღრმა რწმენისა, პოლიტიკური დატვირთვაც ჰქონდა. ფეხმოკიდებული ისტორიული კონცეფციები, რომლებიც ქართველთა ქალდეური წარმოშობის შესახებ ვრცელდებოდა, არ აწყობდა საბჭოთა იდეოლოგიას, მეტიც, მათ შეეშინეს თეორია, რომლის მიხედვითაც საქართველო, როგორც სახელმწიფო მხოლოდ მაშინ ჩამოყალიბდა, როცა კაპიტალიზმი შემოვიდა- მეცხრამეტე საუკუნეში, ამის შესახებ საუბრობს ზვიად გამსახურდია თავის წერილში „საქართველოს სულიერი მისია“.

უპირველესად, ეს იმის გამო ხდებოდა, რომ ქართველ ხალხში ჩამოყალიბებინათ ნიჰილისტური დამოკიდებულება წარსულისადმი, ჩაენერგათ არასრულფასოვნების კომპლექსი და მიეღწიათ იმ მიზნისთვის, რაც მანამდე ვერც ერთმა დამპყრობელმა ვერ შეძლო და ქართველს ქართველობა ვერ წაართვა. ამრიგად, ყოველი სიტყვა საქართველოს დიდი კულტურული წარსულის შესახებ, ტაბუირებულ თემად იქცა. ის კი, რასაც ტაბუ არ შეეხო, სრულიად დამახინჯდა.

გრიგოლ რობაქიძისა და ტიცუან ტაბიძის შემოქმედებაში ქართული გენეზისის გახმიანება ერთგვარი გალაშქრებაა რეჟიმის წინააღმდეგ, რომელიც, ალბათ, მიაღწევდა კიდევ სანადელს, ასეთი ბრძოლები რომ არა.

დღეს, მასმედიაში, აქტუალურია გლობალიზაციის პროცესში საქართველოს ჩართულობის საკითხი. გლობალიზაციის ეპოქაში ვიწრო ნაციონალურ საკითხებს ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება, თუმცა თავად პროცესი არ გულისხმობს საკუთარი თავის დაკარგვას; ამრიგად, მწერალი უნდა ისწრაფოდეს ნაციონალური და მსოფლიო ტენდენციების სინთეზისკენ.

ასე იქმნებოდა და იქმნება დიდი და ღირებული ლიტერატურა. მნიშვნელოვანია ქართველმა ხალხმა არ დაივიწყოს ის უძველესი წარსული, რომელიც კაცობრიობის აკვანშია მოქცეული და დღემდე დამტკიცებას ელოდება. ქართველმა ერმა, როგორც რასამ უძველესი ხალხისა, უნდა შეინარჩუნოს კულტურა, მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები, ის სულისკვეთება და განცდები, რაც გრიგოლ რობაქიძეს არაერთხელ უგრძნია ირან-მესოპოტამიის მინაზე მდგარს და აღმოუჩენია პოეტური ფესვები.

გარდა ამისა, კაცობრიობა მიმართულია „მამის“ - წინაპრის ძიებისკენ, უნდა იცოდეს „ვინ ხარ?!“, „საიდან მოდიხარ?!“. ეს მომავლის გზაზე დასადგომად აუცილებელი ნაბიჯია. ამრიგად, წარსულის - ქართული გენეზისის მხატვრული გარდაქმნა აქტუალობას არასოდეს დაკარგავს, მეცნიერული წინსვლების კვალდაკვალ, თუ მის გარეშე.

მიზნები - ნაშრომის მიზანია, კიდევ ერთხელ განვიხილოთ გრიგოლ რობაქიძის, ტიციან ტაბიძის, ანა კალანდაძის, როსტომ ჩხეიძის შემოქმედების აღნიშნული პერიპეტეები და მათ ირგვლივ არსებული კრიტიკული მსჯელობანი. მოვიყვანოთ სისტემაში ჩვენს მიერ შერჩეული მწერლების შემოქმედების ის ერთეულები, რომლებიც ეხმიანებიან საკვლევ თემას და დავადგინოთ ამ პოეტური თუ პროზაული ნაწარმოებების მთავარი თემის გენეზისი; ასევე, გამოვკვეთოთ მათი მიმართება თანამდროვე შემოქმედებით პროცესთან.

ძიების მიზნებთან დაკავშირებით, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს ქართველთა ქალდეური ფესვების მტკიცება, თუმცა უდავოა, რომ ქართველნი უძველესი ხალხის შთამომავალი ერი ვართ.

საბოლოოდ, დავსძენთ, რომ ჩვენი კვლევა მხოლოდ ერთი პატარა ნაწილს ეხება ქართული ფესვების ლიტერატურაში გარდასახვის მრავალი მცდელობისა; მისი ძირითადი მიზანია მკითხველში ინტერესის გაღვივება შემდგომი კვლევა-ძიებისთვის.

პრაქტიკული მნიშვნელობა - ნაშრომი საინტერესო იქნება ისტორიისა და ლიტერატურის კავშირით დაინტერესებული პირებისთვის, სტუდენტებისთვის და ჩვენს მიერ განხილული მწერლების შემოქმედების მკვლევართათვის, ასევე, თემით დაინტერესებული ნებისმიერი მკითხველისთვის. ისინი კარგად გაეცნობიან მათ - ერთი კონკრეტული ჭრილით, რასაც წარსულის ძიება ვუწოდებთ.

კვლევის მეთოდები - ნაშრომში გამოყენებულია მხატვრული ლიტერატურის ინტერპრეტაციის მეთოდი, ჰერმენევტიკა, როგორც ხერხი მწერლის მთავარი სათქმელის ამოსაცნობად. კვლევისას, ფოკუსირებული ვიყავით თემასთან დაკავშირებული შაბლონური სიტყვების გაანალიზების შედეგებით ფართო გამოკვლევასა და თვისობრივ ანალიზზე, რაც მეთოდოლოგიურად დისკურსის ანალიზის მეთოდს მოიცავს. ცალკეულ თავებში გამოვიყენეთ ტექსტის ანალიზის მეთოდი, ასევე, მწერალთა შემოქმედებისა და შემოქმედების მოტივების შედეგების ანალიზი.

ძირითადი შინაარსი - ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავისა და დასკვნისაგან. თითოეული თავი შეიცავს რამდენიმე ქვეთავს. შესავალში გამოკვეთილია პრობლემის აქტუალობა, მეცნიერული სიახლე, კვლევის მიზნები და მეთოდები. განსაზღვრულია სამიზნე აუდიტორია. კვლევისას განვიხილეთ კონკრეტულ მწერალთა შემოქმედებაში ქართული ფესვების, ქართული სულის ჩამოყალიბების სათავის ძიება.

წარსულისკენ მიხედვა, ზოგადეროვნული ფესვების ძიება, უცხო არ არის ქართული ლიტერატურისთვის; ჩვენი ნაშრომის **კვლევის საგანს** სწორედ ეს ძიებანი წარმოადგენს. წარსულის მონატრებამ არაერთი ქართველ მწერალი განაწყობ სულისკვეთებით, განეხილა ეს პერიპეტიები; ნაშრომში თავი მოვუყარეთ რამდენიმე მათგანს და შევეცადეთ XXI საუკუნის გადასახედიდან, ახალი ხედვით მიგვეტანა მათი შემოქმედების ეს ასპექტები მკითხველამდე.

დასაწყისში, მნიშვნელოვანია განვიხილოთ რა არის „გენეზისი“. გენეზისი ბერძნული სიტყვიდან - „genesis“ მოდის და ნიშნავს წარმოშობას, წარმოქმნას. ნაშრომში წარმოვადგინეთ ქართველი ერის წარმოშობის თეორიებისა და მტკიცებების ლიტერატურაში გარდასახვის მცდელობები.

XX საუკუნეში განვითარებული პოლიტიკური მოვლენები, კონკრეტულად, გახშირებული ცენზურა და საბჭოთა ხელისუფლებისთვის მიუღებელი ინფორმაციის სრული ბლოკადა, ტაბუირებული თემები და დამახინჯებული ისტორია, ქართულ მწერლობაზეც აისახა. ისტორიულ-არქეოლოგიური აღმოჩენები, რომლებიც ხელს უშლიდნენ ნიჰილისტურ დამოკიდებულებას წარსულისადმი და ერის ეროვნული სულის გამოღვიძებას უწყობდა ხელს, დიდი წარმატებით იქცეოდა ცენზურის მსხვერპლად და საზოგადოების ფართო მასებისთვის სრულიად უცნობი იყო. საბჭოთა ხელისუფლება მკაცრად მოითხოვდა სისტემისთვის მიუღებელი აზრის ცვლილებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, მძიმე რეპრესიებს მიმართავდა.

მიუხედავად ამისა, მწერალთა ერთი ნაწილისათვის - ივანე ჯავახიშვილის, ნიკო მარრის, პავლე ინგოროყვას თუ სხვათა მეცნიერულ-ისტორიული აღმოჩენები შემოქმედების ერთ-ერთ მთავარ ძარღვად იქცა.

გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაში, ისე ღრმად შეიჭრა ქართველების უძველესი წარმომავლობის იდეა, რომ გაითავისა, მითად გარდაქმნა და საკუთარი ფესვები ქალღეიდან გამოიყვანაო- შეგვახსენებს როსტომ ჩხეიძე. მან რომან „გველის პერანგში“ მითად გარდაქმნა ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი ისტორია, არჩიბალდ მეკემის ცხოვრების მიხედვით. რომანში ქართული ხასიათის ჩამოყალიბების სათავის ძიებას საბოლოოდ უსვამს წერტილს და გადაჭრით გვამცნობს, რომ ქართული ხასიათი ქალღეური ცეცხლიდან - „მამალი ცეცხლიდან“ მოდის.

გრიგოლ რობაქიძის გავლენა ტიცთან ტაბიძეზე იმდენად დიდია, რომ თავის წინაპრებს ღვთისმსახურებად, შორ წარსულში კი ქურუმებად წარმოიდგენს. პოეტმა ლევენდარულ სამოსელში გახვეულ წარსულს

არაერთი ლექსი მიუძღვნა. მას განზრახული ჰქონია მთელი წიგნი მიეძღვნა „ქალღეური ციკლისთვის“; ვარაუდის საფუძველს იძლევა ერთ-ერთი ლექსის სათაური „წიგნიდან „ქალღეას ქალაქები“.

სხვა უღერადობის სიტყვით, მაგრამ იმავე სულისკვეთებითაა გამსჭვალული ანა კალანდაძის შემოქმედება. პოეტის მრავალფეროვან ჰორიზონტს თითქოს საზღვარი არ აქვს: ხეთა და მიდია, ქალღე და ქალღე, ზღაპრული ურარტუ და სემირამიდა.. პოეტი ქალის შემოქმედებაში თუბალებისა თუ პელაზგების შთამომავლად გამოცხადების თეორიებიც ჰპოვებენ ნავსაყუდელს. პავლე ინგოროყვას აღმოჩენასაც თავისებურად გაიაზრებს და ადგილს დაუმკვიდრებს პოეტურ სტრიქონებს შორის.

ანა კალანდაძის სწრაფვა წარსულისკენ ამით არ სრულდება; პოეტი თითქოს შეპყრობილია მისტიური წარსულის გმანებებით, ლირიკული გმირები მზეს ეთაყვანებიან, უგალობენ, მსხვერპლს სწირავენ და მიისწრაფვიან შორეულ ფესვებში დაბრუნებისკენ, რაც პოეტ ქალს მზის მსახურად აქცევს და როსტომ ჩხეიძეც სამართლიანად უწოდებს-„ქურუმქალს“.

მიუხედავად იმისა, რომ ისტორიულ-არქეოლოგიური მეთოდით დღემდე არაა დამტკიცებული ქართველთა წარმოშობის ჰიპოთეზის ვალიდურობა, თემა რომ აქტუალობას დღემდე ინარჩუნებს, როსტომ ჩხეიძის შემოქმედებაც ცხადყოფს. როსტომ ჩხეიძე, ქართული ხასიათის თავისებურების - მსხვერპლისუნარიანობის, იდეისთვის თუ მოყვასისთვის თავგანწირვის საწყისს, საისტორიო და ლიტერატურული მასალის მოშველიებით და კიდევ ერთხელ გადასინჯვით, ქართველი ერის მოდგმის ფესვებში ეძებს. დასასრულს, პასუხს გავცემთ რიტორიკულ კითხვას, თუ რატომ გვენატრება ქალღეა!..

თავი 1. ქართველთა გენეზისი და მითოსი

§.1. ქართველთა უძველესი ბინადრობა

რვა წლის განმავლობაში ცდილობდა ივანე ჯავახიშვილი ქართული საისტორიო წყაროები კრიტიკულად შეესწავლა და მისი თანამედროვე სამეცნიერო მეთოდების საშუალებით ქართველი ერის წარსული გამოეკვლია.¹

¹ იხ. ივ. ჯავახიშვილი. ქართული ერის ისტორია, ტომი I, ტფილისი: თ.პ.ი. თუმანისვილის გამოცემა. 1908. გვ. 1.

ეს მცდელობა ნამდვილი ინოვაცია იყო იმ დროის ქართული მეცნიერების სფეროში. საზოგადოებაში კი ნამდვილი გადატრიალების სანყისი.¹

კვლევა-ძიებამ ივანე ჯავახიშვილი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ქართველი ერის წარსული ბევრად უფრო საყურადღებო და ღრმა ყოფილა, ვიდრე ამას მამა-პაპეული შეხედულება გადმოგვცემდა ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან ისტორიაზე.²

ივანე ჯავახიშვილმა თავი მოუყარა უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში აღმოჩენილ მნიშვნელოვან წყაროებს და შეუდგა მათ კვლევას საისტორიო მეთოდების მიხედვით. „ქართველი ერის ისტორიის“ შინაარსის შესახებ თავადვე წერს: „მე ვცდილობდი ამ თხზულებაში მხოლოდ ისეთი ცნობები შემეტანა, რომელიც თანამედროვე მწერლობაში უკვე გამორკვეული არის, ან რვა წლის განმავლობაში თვითონ მე შესწავლილი მქონდა.“³ გარდა ამისა, მას არ უხელმძღვანელია ისეთი წყაროებით, რომლებზეც დამყარებული იყო საქართველოს ისტორია; ამრიგად, მისი შეხედულებები ქართველი ერის წარსულის შესახებ, მნიშვნელოვნად განსხვავდება საზოგადოებაში გავრცელებული შეხედულებებისგან.

1908 წელს, თ. პ. ი. თუმანიშვილმა პირველად გამოიყა ივანე ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორია“, სწორედ აქედან იწყებს სათავეს თეორიები, რომელთა მიხედვითაც ქართველი ერის პირველსაცხოვრისი კავკასია არ ყოფილა და კვლევა-ძიება დროსთან ერთად კიდევ უფრო შორეული სამხრეთისკენ მიემართება.⁴

1908 წლის გამოცემით ხელმძღვანელობა, მიუხედავად მომდევნო გამოცემების მრავალმხრივი დახვეწილობისა, კვლევის მიზნებისთვის

¹ იხ. იქვე: გვ. 1.

² იხ. იქვე: გვ. 1.

³ ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. ტომი I. ტფილისი: თ.პ.ი. თუმანიშვილის გამოცემა. 1908. გვ. 1.

⁴ ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. ტომი I. ტფილისი: თ.პ.ი. თუმანიშვილის გამოცემა. 1908. გვ. 2-3;

შესაბამისია, ვინაიდან ეს სწორედ ის გამოცემაა, რომელთან შეხებაც, დიდი ალბათობით, ჰქონდათ გრიგოლ რობაქიძეს და ტიციან ტაბიძეს.

სად იყო ქართველი ერის თავდაპირველი სამშობლო, ამის შესახებ საისტორიო წყაროებში ცნობები არ მოიპოვება. ივანე ჯავახიშვილი თვით ქართულ ენას და სხვადასხვა ტომთა სახელებში შემონახულ საერთო თვისებებსა და სახელებს იშველიებს, ლინგვისტურ მეთოდზე დაყრდნობით კი ამტკიცებს, რომ სწორედ ამ სახელებშია შემონახული ჩვენი ერის უძველესი „ბინადრობისა და სამშობლოს“ სახელი.¹ ამ თეორიის დასამტკიცებლად სიტყვა „ქართული“ მოჰყავს, ბოლოკიდური „ელი“ სადაურობის აღმნიშვნელი საკვეცია, როგორც ეს შემორჩენილია დღემდე, მაგალითად გორელი, ოკრიბელი, კახელი და გვიჩვენებს სადაურობასა და წარმომავლობას. მაგალითებით ნათელია წესი, რომ საკვეცი „ელი“ ქვეყნის ან ადგილის სახელს ერთვის. ამრიგად, „ქართუ“, როგორც „ქართუელის“ პირველი ნაწილი, ქვეყნის სახელი უნდა იყოს.²

მეცნიერ-ისტორიკოსის კვლევის ობიექტი სიტყვა „კარლუხიცაა“. „კარლუხთა“ ქვეყანაში მიედინებოდა მდინარე კინტრიტი, რომელიც მდინარე „კინტრიშის“ (მდინარე დასავლეთ საქართველოში) მოსახელეა. მსგავსად „ქართუელისა“, „კარლუხიც“ ეროვნების აღმნიშვნელი საკვეცი- „ხი“-თ ბოლოვდება. სიტყვის პირველი ნაწილიც ცხადია ქვეყანას უნდა ნიშნავდეს. როგორც ეს სიტყვა „კოლხი“ და „ტაოხია“, ორივე მათგანს რომ მოვაცილოთ სადაურობის მანარმოებელი დაგვრჩება „ტაო“ - ეს იმ ქვეყნის სახელია, რომელსაც სომხები ეძახდნენ „ტაიქს“, მდინარე ჭროხისა და თორთუმის წყლის შორის მდებარე ადგილს. ამრიგად, „ტაოხი“ უნდა ნიშნავდეს ტაოელ ტომს. იგივე პრინციპითაა შედგენილი „კოლხი“, სადაც „კოლ“, იგივე „კოლა“ იმ ქვეყნისა სახელია, საიდანაც სათავეს იღებს მდინარე მტკვარი. ივანე ჯავახიშვილი, ამ ყველაფრის გათვალისწინებით, მიდის დასკვნამდე, რომ

¹ იხ. იქვე: გვ. 27.

² იხ. იქვე: გვ. 27.

სიტყვა „კარღუ“-ც ქვეყანას უნდა ნიშნავდეს. კარღუ და ქართუ კი ერთიდაიმავეს ნიშნავს, „განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ მეორე სიტყვაში მთუშინავი თანხმოვანები ზის: „კ“-ანის მაგიერ „ქ“-ანი, ხოლო „ღ“-ონის მაგიერ „თ“-ანი. კარღუხი, როგორც ვიცით, ერთ-ერთ მეგრულ-ჭანურ შტოს ტომის სახელია.¹ დაკვირვებამ დაგვარწმუნა, რომ ქართლურ-მეგრულ შტოს ტომების საკუთარ სახელებში (ქართუელი, კარღუხი) ერთი-და-იგივე ქვეყნის სახელი გვხვდება: „იგი არის ქართუ ანუ კარღუ. რაკი ამ ქვეყნის სახელი ორივე შტოს ტომების სახელ-წოდებაში მოიპოვება, უეჭველია იგი ქართველების თავდაპირველი საერთო სამშობლო უნდა ყოფილიყო.“²

შემდგომ ამისა, ივანე ჯავახიშვილი საუბრობს დღემდე ცნობილ და აქტუალურ თემაზე - სვანეთში შემორჩენილ ტოპონიმებზე, რომლებიც, მეცნიერის აზრით, უკავშირდება ხალხში შემორჩენილ სამშობლოს ხსოვნას. კონკრეტულად, სვანეთში დღემდე არის შემორჩენილი სოფელი „კალღე“ ანუ „ხალღე“. „ეს კარღუ ანუ ქართუ განთქმული ქვეყანა ქალღეა არის: ტუკლატ-ადარ I-ის 1275 წლის (ქრ. წ.) წარწერაში იგი „ქვეყანა კარღუ“-დ იწოდება, სწორედ ისე როგორც ამ ქვეყნის სახელი კარღუხების საკუთარ სახელწოდებაშია შენახული.“³

ივანე ჯავახიშვილის საბოლოო დასკვნით, ქართველებს ქალღეაში უნდა ეცხოვრათ უძველეს დროში. არსებული ცნობების საფუძველზე შეუძლებელია დაახლოებითაც კი იმის თქმა, როდის სახლობდა ქართული მოსახლეობა ქალღეას მიწებზე ან როდის აიყარნენ და ჩრდილოეთით კავკასიაში დასახლდნენ.⁴

¹ იხ. ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. ტომი I. ტფილისი: თ.პ.ი. თუმანიშვილის გამოცემა. 1908. გვ. 27-28.

² იქვე: გვ. 27-28.

³ იქვე. გვ. 28.

⁴ იხ. ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. ტომი I. ტფილისი: თ.პ.ი. თუმანიშვილის გამოცემა. 1908. გვ. 28.

დაბეჭითებით კი მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ივანე ჯავახიშვილს ღრმად სწამდა და დაზუსტებულ ფაქტებზე დაყრდნობით სჯეროდა - ქართველთა პირველსაცხოვრისი ნამდვილად სამხრეთის მიწები იყო.

კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნოთ, რომ ზემოთ განხილული ინფორმაცია ეყრდნობა 1908 წლის თ. პ. ი. თუმანიშვილის თაოსნობით გამოცემულ, ივანე ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიის“ წიგნს. აღნიშნულ წიგნში მოცემული ინფორმაცია, შემდგომ გამოცემებში (მაგალითად - 1960 წლის გამოცემაში)¹ შესწორებული, გაცილებით გავრცობილი და დახვეწილია, მიუხედავად ამისა, ჩვენთვის საინტერესოა გამოცემა, რომელთანაც, დიდი ალბათობით, შეხება უნდა ჰქონოდათ უშუალოდ გრიგოლ რობაქიძესა და ტიციან ტაბიძეს.

წიგნის მესამე 1928 წლის, სილ. თავართქილაძის გამოცემაში,² საერთოდ აღარაა საუბარი ქართველთა წარმოშობის საკითხების შესახებ.

უფრო მოგვიანებით, წიგნის რიგით მეხუთე - 1960 წლის სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემაში კი მეორე დამატების სახით ქართველთა უძველესი ბინადრობის ივანე ჯავახიშვილის მსჯელობებია გაშლილი, რასაც მის პირველ, 1908 წლის გამოცემაში ვეცნობით.

ამრიგად, ისტორიული ნარკვევის- „ქართველი ერის ისტორიის“ დახმარებით, წარმოვადგინეთ ქართველთა სავარაუდო წარმოშობის ადგილი. კვლევა-ძიებითა და არგუმენტირებული მსჯელობით, ივანე ჯავახიშვილი, მივიდა ლოგიკურ დასკვნამდე, რომ უძველეს დროში ქართველ ხალხს ქალდეაში უნდა ეცხოვრა.

¹ იხ. ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. ტომი I. თბილისი: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 1960. გვ. 401-441.

² იხ. ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. ტომი I. ტფილისი: სილ. თავართქილაძის გამოცემა. 1928.

§.2. XX საუკუნის საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობის მცირე მიმოხილვა

რა უნდა ყოფილიყო ასეთი ცვლილების მიზეზი, თუ არა საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა? ამის შესახებ ვისაუბრებთ ამ პარაგრაფში.

„ეს არის უდიდესი პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური მოვლენების, დიდი ისტორიული ქართველების, მსოფლიო ომების, რევოლუციების, ქართველი ერის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობის, სოციალური ილუზიების, შემოქმედებითი შრომის, სოციალური და კულტურული დაწინაურების ისტორიული ხანა“¹ - ასე აფასებს პროფესორი მაყვალა ნათელაძე, XIX-XX საუკუნეების საქართველოს ისტორიას.

ქვეყნის წინსვლის ერთ-ერთ მთავარ ფუნდამენტს კულტურის განვითარება წარმოადგენს. თავის მხრივ, კულტურის განვითარება კი ლიტერატურის განვითარებას ეფუძნება. კომუნისტური იდეოლოგია თავიდანვე არ გამორიცხავდა იდეოლოგიური თუ პოლიტიკური ოპონენტის მიმართ ძალადობრივ მოქმედებას.²

ჩამოყალიბდა ცნება „ხალხის მტერი“, რომელიც შეუზღუდავი მიმართულებით აერთიანებდა ყველას: პარტიულ ოპოზიციონერს, კორუმპირებულ თუ უპასუხისმგებლო მუშაკს, თანამდებობის ბოროტად გამომყენებელ პირს, თუნდაც საკუთარი პოლიტიკური რიგებიდან. ამავე სიაში ეროვნული ინტერესების მატარებელი ინტელიგენციაც შედიოდა. ქსელური სისტემა აგებული იყო იძულებით და ნებაყოფლობით დასმენაზე. „ხალხის მტრისათვის“ ხელის დათარება, მასთან მეგობრობა და ნათესაური კავშირიც კი დანაშაულად ითვლებოდა. საზოგადოება შიშმა მოიცვა, ხშირი გახდა

¹ საქართველოს ისტორია. ოთხ ტომად. ტომი IV. მ. ალუდაურის რედაქციით. თბილისი: პალიტრა L. 2012. გვ. 5.

² იქვე: გვ. 350.

მასობრივი დებინფორმაციის გავრცელება, რადგან ყოველ წარუმატებლობასა თუ ნაკლს „ხალხის მტერს“ უკავშირებდნენ.¹

„მასობრივი რეპრესიების პერიოდში უკიდურესად დაიძაბა ადამიანური, მათ შორის ნათესაური ურთიერთობები. იყო ფაქტები, როცა მამამ უარყო ტროცკისტი შვილი, ცოლმა რეპრესირებული მეუღლე, ძმამ - ძმა და ა.შ.“²

ასეთ რთულ სიტუაციაში ძალიან იშვიათი გახდა კაცთმოყვარეობის ფაქტები.

მკაცრი და სისხლიანი რეპრესიები შეეხო საქართველოს ინტელიგენციას, მოაზროვნე საზოგადოებას. რეპრესირებულთა რაოდენობა საკმაოდ დიდია, მათ შორის არიან მიხეილ ჯავახიშვილი, ტიცვიან ტაბიძე, პაოლო იაშვილის თვითმკვლელობაც საბჭოთა ხელისუფლებას უკავშირდება. გრიგოლ რობაქიძე საბჭოთა ხელისუფლებას ემიგრაციის გზით გაეცალა. რეპრესიები შეეხო საგანმანათლებლო დაწესებულებებსაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, რუსთაველის სახელმწიფო თეატრს, პოლიტექნიკურ ინსტიტუტს და სხვა.³

მიუხედავად უმძიმესი მდგომარეობისა, ლიტერატურა განვითარებას განაგრძობდა. ამას ხელს უწყობდა 1933 წლის 2 ოქტომბრის საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალურმა კომიტეტის დადგენილება საბჭოთა მწერლობის განვითარების შესახებ. კომუნისტური რეჟიმის ძირითად დავალებას წარმოადგენდა მაღალხარისხიანი მხატვრული პროდუქციის შექმნა, რომელშიც აისახებოდა ქვეყნის სოციალისტური საქართველოს მშენებლობისთვის გმირული ბრძოლა.

¹ იხ. საქართველოს ისტორია. ოთხ ტომად. ტომი IV. მ. ალუდაურის რედაქციით. თბილისი: პალიტრა L. 2012. გვ. 351.

² იქვე: გვ. 353.

³ იხ. იქვე: გვ. 354.

ხელისუფლების ცენზურა კი ყოველგვარ გადახვევას აქრობდა. მეორეს მხრივ, „მედროვე კრიტიკოსები ქართველ მწერლებს გასაქანს არ აძლევდნენ.“¹

შემოქმედებითი თავისუფლების შეზღუდვა ეხებოდა ყველას, განურჩევლად პოლიტიკური შეხედულებისა. მიხეილ ჯავახიშვილი ამას ემსხვერპლა, გრიგოლ რობაქიძე ამას გაექცა, კოსტანტინე გამსახურდია კი არაერთხელ იყო რეპრესირებული საბჭოთა რეჟიმის დროს.

აკაკი ბაქრაძემ მთელი ეს პერიოდი ორი სიტყვით შეათვასა და დაწერა „მწერლობის მოთვინიერება“, სადაც საუბარია უმძიმეს დროში განვითარებულ ლიტერატურაზე, მართლაც „მოთვინიერებულ“ და „ბოლომდე ვერ მოთვინიერებულ“ შემოქმედებაზე. მისივე შეფასებით, წიგნი მხოლოდ ერთი მხარეა რეალობისა და აუცილებელია მეორე, „გადარჩენილი“ მხარის გაცნობაც, სამწუხაროდ, უკვე დანყებულ „გადარჩენას“ დასრულება არ ეწერა.²

საბჭოთა ბორკილებიდან გათავისუფლებული, დამოუკიდებელი საქართველოს უპირველესი მიზანი საბჭოური მემკვიდრეობის მახინჯი მხარეების გამოსწორება და მათი თავიდან მოცილება იყო.

ცენზურის მარწუხებიდან დახსნილი ლიტერატურაც ამავე გზას დაადგა. 1990 წელს ზვიად გამსახურდიამ „იდრიატის“ ფესტივალზე წაიკითხა ლექცია, რომლის მთავარი საკითხიც ქართული ეთნოგენეზისი იყო.³ ლექციის მიზანი იყო დასავლელი სტუმრებისთვის ქართველთა გენეზისის გაცნობა, რადგან საბჭოთა ხელისუფლების დროს თემის ირგვლივ მხოლოდ მათთვის სასურველი ინფორმაცია შუქდებოდა. საქართველოს კულტურის ისტორია კი მრავალი წლის მანძილზე მიჩქმალული, დამახინჯებული და ტაბუირებული იყო არამართო მსოფლიო მეცნიერებისთვის, ქართული

¹ საქართველოს ისტორია. ოთხ ტომად. ტომი IV. მ. ალუდაურის რედაქციით. თბილისი: პალიტრა L, 2012. გვ. 5. გვ. 360.

² ა. ბაქრაძე. მწერლობის მოთვინიერება. ელ. წიგნი. გვ. 141.

³ იხ. <http://www.nplg.gov.ge/civil/statiebi/saskolo/saqarTvelos_sulieri_misia.htm>

საზოგადოებისთვისაც. ამის მთავარი მიზეზი ქართველებისთვის ეროვნული სულის მიძინება, არასრულფასოვნების კომპლექსისა და სამშობლოსადმი ნიჰილისტური დამოკიდებულების ჩამოყალიბება იყო.¹

დემინფორმაციის წყაროები საბჭოთა იმპერიის გავლენის ქვეშ მოქცეული მეცნიერები იყვნენ, თუმცა მათ რიგებში ვერ მოხვდა ივანე ჯავახიშვილი და ნიკო მარრი. საპასუხოდ, საბჭოთა ხელისუფლებამ მათ წინააღმდეგ საბრძოლველად არაერთ ხერხს მიმართა.²

ივანე ჯავახიშვილმა და ნიკო მარრმა გამოიკვლიეს ქართული მოდგმის ძირები, ქართული ენის ლინგვისტურ მარაგზე დაყრდნობით გამოიტანეს შესაბამისი დასკვნებიც, რაც ეწინააღმდეგებოდა საბჭოთა მეცნიერების დასკვნას, კონკრეტულად კი, მარქსიზმ-ლენინიზმის მომხრე მეცნიერებმა შექმნეს თეორია, რომლის მიხედვითაც კაპიტალიზმის შემოსვლამ ჩვენში განაპირობა ქართველი ერის - ერად ქცევა. მეცხრამეტე საუკუნემდე კი „იგი თურმე არც ერთი ყოფილა და არც არსებობდა“.³

ზვიად გამსახურდიას მხედველობიდან არ გამორჩენია არც ის ფაქტი, თუ როგორ მიჩქმალა საბჭოთა ხელისუფლებამ გერმანელი მეცნიერის ვილჰელმ ჰუმბოლდტის გამოკვლევები, რომლის საკვლევ საგანს წარმოადგენდა ბასკური ენები და პირენეის ნახევარკუნძულზე მოსახლე უძველესი ხალხის ვინაობის დადგენა. კვლევამ მეცნიერი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ „სამხრეთ ევროპის: პირინეების, იტალიის, ხმელთაშუა ზღვის კუნძულების პირველადი ავტოქტონური მოსახლეობა იყო იბერიული მოსახლეობა.“⁴ მათ იცნობენ როგორც პროტოიბერებს და გვიანდელი ევროპული მოსახლეობაც მათგან მომდინარეობს.⁵

¹ ზ. გამსახურდია. წერილები, ესსეები. თბილისი: ხელოვნება. 1991. გვ. 191-192.

² იხ. იქვე: გვ. 154.

³ იქვე: გვ. 191.

⁴ იქვე: გვ. 194.

⁵ იხ. იქვე: გვ. 194.

პროტოიბერების მოდემის ენას მრავალი დიალექტური განშტოება ჰქონდა. მოგვიანებით, დიალექტურმა განშტოებებმა მიიღეს ცალკე ენების სახე და ჩამოყალიბდნენ, როგორც მონათესავე ენები.¹

ნიკო მარრისა და მიხეილ წერეთლის კვლევები ამ თეორიას კიდევ ერთხელ ამტკიცებდა და გენეტიკური ნათესაობის, გერმანელი მეცნიერისთვის უცნობ, არაერთ ფაქტს ჰტყენდა ნათელს, როგორცა მაგალითად, თანამედროვე ქართულ ენასა და შუმერულ ენას შორის გენეტიკური ნათესაობა.²

ზვიად გამსახურდიას შეფასებით, სომეხი მეცნიერების ობიექტური წარმომადგენლების და ნიკო მარრის გამოკვლევით, დიდი ნაწილი მცირე აზიის მოსახლეობისა მიეკუთვნებოდა პროტოიბერიულ მოდემს. მესხები, ანუ მოსხები, კოლხები, კაპადოკიელები, ტაოხები და სხვები არიან ამ მოდემის სხვადასხვა განშტოებები. მეცნიერებაში ამ რასას „ქართველური“ ან, როგორც აღვნიშნეთ, „პროტოიბერიული“ მოდემა ეწოდება. რაც შეეხება საქართველოს და ქართველ ხალხს - „საკუთრივ ქართველი ერი, ლოკალიზებული კავკასიის მასშტაბით, დაკავშირებულია იბერიულ-კავკასიურ განშტოებასთან. იბერიულს აქვს მრავალი განშტოება და დღესდღეობით შემორჩენილია პირინეულ-იბერიული, ანუ ბასკური და კავკასიურ-იბერიული, ანუ ქართული და მისი მონათესავე ტომები ჩრდილოეთ კავკასიაში. დანარჩენი კი, ამჟამად, ასიმილირებულია ინდოევროპული კაცობრიობის მიერ, რომელიც, როგორც ჩანს, არის გვიან მოსული ევროპის კონტინენტზე. კერძოდ, მეორე ათასწლეულის შემდეგ, ხოლო პროტოიბერიული კაცობრიობის, ანუ პალეომედიტერანული, პალეოკავკასიური კაცობრიობის მოღვაწეობის, მისი ზეობის ხანად მიჩნეულია ეპოქა უძველესი დროიდან მესამე ათასწლეულამდე. მესამე ათასწლეულში იწყება დაკნინება ამ რასისა, მისი რიცხოვრივი შემცირება,

¹ იხ. ზ. გამსახურდია. წერილები, ესსეები. თბილისი: ხელოვნება. 1991. 195.

² იხ. იქვე: გვ. 195.

მისი ასიმილირება მოსული ინდოევროპელების მიერ. ამ დროიდან და უფრო გვიან წამოიწიეს წინ ხეთური და ძველბერძნული, ელინური სამყაროები. მაგრამ აქ ხდება კულტურათა სინთეზირება: პალიომედიტერანულ, ანუ პროტობერძულ მოდგმასთან დაკავშირებულია პირველადი კულტურები მინოსისა, ეგეოსური კულტურები, კოლხური (ძველკოლხური), რომელიც უარესად მჭიდროდ არის მინოსურთან დაკავშირებული, ხოლო შემდგომ, უკვე მეორე ათასწლეულიდან იწყება წამოიწივა ხეთური სამყაროსი, რომელიც უკვე ინდოევროპული სამყაროა, აგრეთვე ძველბერძნული სამყაროსი, რომელიც ველური ტომიდან მომდინარეობს და მოსულია იმ ტერიტორიაზე, რომელზედაც შემდგომ აღმოცენდა ძველბერძნული კულტურა და ძველბერძნული სამყარო, ხოლო პირველადი მოსახლეობა ძველი საბერძნეთისა, ძველბერძენი ისტორიკოსების მონაცემებზე დაყრდნობით, განასზღვრულია როგორც პელაზგური, ანუ პროტობერძული. პელაზგები არიან ერთ-ერთი განშტოება პროტობერძებისა, ისევე როგორც ეტრუსკები და სხვა ხალხები, ისევე როგორც კოლხები.¹

მეცნიერთა დასკვნების ობიექტურობის მიუხედავად, საბჭოთა ხელისუფლება ყველა გზით ცდილობდა ინფორმაციის დამალვას. საზოგადოებას ინფორმაციული კოლაფსი, რომ არ ეგრძნო, არც დებინფორმაციის გავრცელებას ერიდებოდნენ. ამ თემაზე საჯაროდ საუბარი მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების მოშლის შემდეგ გახდა შესაძლებელი. ზვიად გამსახურდია იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც გაასაჯაროვა ქართველთა წარმოშობის შესახებ არსებული კვლევები და მათი შედეგები.

¹ ზ. გამსახურდია. წერილები, ესსეები. თბილისი: ხელოვნება. 1991. გვ.194-195.

§.3. ქართული გენეზისი მითად გარდაქმნა გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგის“ მიხედვით

XX საუკუნის ქართულ რეალობაში დადგა დრო რომანის შექმნისა, პროზა თანდათანობით გადაიზარდა რომანში და შედეგად ქართული სიმბოლისტური რომანი მივიღეთ, რომელიც ევროპული სიმბოლისტური რომანის ნარატივთან დაახლოებული იყო არა მარტო ფორმატით, არამედ მხატვრულ-ფორმალური სტილით, პერსონაჟების გაუცხოებული და გაორებული ბუნებით, განათლებული მაგრამ უიღბლო მთავარი გმირით, დიონისური საწყისის აპოლოგიით. თამარ შაიჭაძე ქართულ სიმბოლისტურ პროზას ევროპულ სიმბოლისტურ პროზასთან აკავშირებს არამარტო ამ ნიშან-თვისებებით, არამედ პარალელს ავლებს მოვლენათა მითოლოგიურ შინაარსთან, ალევორიულ და ფანტასმაგორულ ჭრილში წარმოჩენილ მხატვრულ ტექსტთა მახასიათებელ ნიშნებთან.¹

XX საუკუნის 20-იან წლებში ორი სიმბოლისტური რომანი -დემნა შენგელაიას „სანავარდო“ და გრიგოლ რობაქიძის „გველი

ს პერანგი“ გამოქვეყნდა. თამარ შაიჭაძის შეფასებით, ორივე რომანი სიმბოლისტურ მხატვრული დისკურსის ანალოგებად უნდა მივიჩნიოთ, რადგან სიმბოლისტური რომანისთვის დამახასიათებელი ყველა თვისება ახასიათებს - ეს იქნება რწმენის ძიება თუ მარტოსულობა, გაუცხოება თუ პიროვნული დრამა..²

„გველის პერანგი“ სიმბოლიზმითა და მითოლოგიით გაჯერებული რომანია. რომანის მთავარი ხაზი ქართული ფესვები და მისდამი გამუდმებული ლტოლვაა. მთავარი გმირი- არჩიბაღდ მეკეში საკუთარი წარმომავლობის ძიებას იწყებს, იგი მარტოსულ, ინტელექტუალ, ხელოვნების

¹ თ. შაიჭაძე. მოდერნიზმი და ქართული ლიტერატურა. თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2018. გვ. 149.

² იხ. იქვე: გვ. 149.

დიდი მოტრფიალედ წარმოგვიდგება. მისთვის არც ძალა და ღონე არ დაუშურებია დედა ბუნებას.

თამარ შაიჭაძე წერს, რომ რომანში გეოგრაფიული სივრცე ფართოა, ნაციონალური სახეები შესანიშნავადაა გადმოცემული შესაბამის ნაციონალურ გარემოში.¹

გრიგოლ რობაქიძე პირველივე გვერდს იმით იწყებს, რომ არჩიბალდ მეკეშის მოგზაურობა სამშობლოს საძიებლად კავკასიის სამხრეთით, ქალაქ ჰამადანიდან იწყება. ჰამადანი- ეს არის ისრაელის ქალაქი, ძველად ეკბატანას² სახელით ცნობილი.

კაცობრიობის აკვნად აღიარებული ადგილის სიახლოვიდან არჩიბალდ მეკეშის მოგზაურობა, როგორც ეროვნებით ქართველის კავკასიისკენ გადაადგილება, გრიგოლ რობაქიძის მხრიდან პირდაპირ შორეული ისტორიის გაცოცხლებაა, რომლის შესახებაც ინფორმაციას გვანვდიდნენ ივანე ჯავახიშვილი და ნიკო მარრი. მეცნიერთა თეორიის თანახმად, ქართველი ერის უძველესმა წინაპრებმა სწორედ ამ ადგილებიდან დაიწყეს მიგრაცია კავკასიისკენ და დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე დასახლდნენ.

არც როსტომ ჩხეიძე მიაჩნია ჰამადანის ხსენება შემთხვევით მოვლენად. იგი თვლის რომ ჰამადანის ხსენება ხსნის სამყაროსა და ისტორიის წინაშე გრიგოლ რობაქიძის სულს და არჩიბალდ მეკეშის მისწრაფება საკუთარ ფესვებისაკენ, მხატვრულ გარდაქმნას წარმოადგენს თვით ავტორის დაუცხრომელი სწრაფვისა და ინტერესისა ქართული მოდგმის საწყისისა.³

რომანში, როგორც თანამედროვე ეპოქალური მოვლენები, ასევე ისტორიული წარსულის განცდებია გაცოცხლებული, მიუხედავად რომანის

¹ იხ. თ. შაიჭაძე. მოდერნიზმი და ქართული ლიტერატურა. თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2018. გვ. 150.

² <<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=14&t=71665>>

³ რ. ჩხეიძე. მზის შვილები. თბილისი: ომეგა თეგი. 2010. გვ. 57.

კონკრეტული სიუჟეტური დროისა, რომელიც 1917 წელს ჰამადანში იწყება და 1918 წელს საირმეში სრულდება, ანუ ერთ წელშია მოქცეული.¹

ამრიგად, გრიგოლ რობაქიძემ ქართველთა უძველესი მიგრაციის გზა გააცოცხლა, მხატვრულ ტექსტად გარდაქმნა და მცირე დროში მოაქცია.

ნაციონალური სახის გამოყვანა რომანში ერთ დიდ ამოცანას წარმოადგენს. აქ გასათვალისწინებელია გარემო, თუ სად და როგორ ყალიბდება პიროვნება? რა ისტორიული გზა განვლო ერმა ასეთი ერისკაცის ჩამოყალიბებისთვის? რა და როგორი პიროვნული ღირებულებებით, ასევე რა ხასიათით გამოირჩევა პირი, რომელიც ერის სახეს წარმოადგენს? - ამ საკვანძო საკითხების გაშლა გვაძლევს რომანში მწერლის მიერ წარმოდგენილ ნაციონალურ სახეს, რაც „გველის პერანგში“ რასის სახით ფორმირდება. სწორედ რასის „სისხლის ყივილით“ გამოწვეული განცდების ტყვე ხდება არჩიბალდ მეკეში.

არჩიბალდ მეკეში შეპყრობილია ეროვნული ფესვების ძიებით, გამუდმებული ფიქრი უღვიძებს დაღეწილ ინსტიქტებს და ყოველი შემთხვევითი თუ საბედისწერო შეხვედრისას ქართველობასთან, ქართულ სულთან, ღრმად გრძნობს კავშირს, თუმცა ამის ახსნას ვერ პოულობს და მოსვენებას კარგავს.²

გრიგოლ რობაქიძე რომანში თავიდანვე მიგვანიშნებს უცხო კაცის სავარაუდო წარმომავლობას: „უცხო კაცი არ არის: არც სპარსი არც ოსმალის არც ჰინდუ არც ებრაელი არც სლავი არც ფრანგი არც გერმანელი. არც ქართველი?!“³ - კითხვა-დახილის ნიშნის ქვეშ ამ წინადადების მოქცევა თავისთავად ბადებს ეჭვის საფუძველს, რომ უცხო კაცი, რომელსაც შემდგომ არჩიბალდ მეკეშად გავიცნობთ, ქართველი უნდა იყოს.⁴

¹ პაიჭაძე თ. მოდერნიზმი და ქართული ლიტერატურა. თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2018. გვ. 150.

² იხ. გრ. რობაქიძე. გველის პერანგი, თბილისი: მერანი. 1989.

³ იქვე: გვ. 15.

⁴ იხ. იქვე: გვ 15.

კვანძის შეკვრის კულმინაციურ ნაწილს წარმოადგენს არჩიბალდ მეკემის პირველი შეხვედრა ქართულ სათვისტომოსთან. ჰამადანიდან გამგზავრებისას, გზად, საოცარი სივრცეების ხილვით დამთვარალ არჩიბალდ მეკემს „ალანის“ ყეფა აღვიძებს და პირველი, რაც ესმის სიმღერაა, რომელიც ამ მარტოსულობით დაღლილ, უძიროების განცდით შეპყრობილს, გაუგებარ გრძნობას უღვიძებს, გრძნობას აყოლილი ცახცახს ძლივს იკავებს და ხვდება- ეს არის რაღაც ახლო და ამავე დროს შორეული. სიმღერა ახლოვდება და ხმის ზრდასთან ერთად არჩიბალდ მეკემის ცახცახს გულის აჩუყება ცვლის.¹

ტაბაი გრძნობს თანამგზავრის უეცარ ცვლილებას და საუბრის გაბმას ცდილობს: „გფურჯების სიმღერას ჰგავს. არჩიბალდ მეკემი იმეორებს „გფიურჯების“... „ქართველები“... სიმღერა კი თითქოს მზებზე აელვარებული ხმლის ტალღებივით გადადის.

მანქანიდან გადმოსული მეკემი სხეულში გრძნობს - როგორ იკლო დაძაბულობამ და სიმსუბუქე მოიცავს, თუმცა გულის ფეთქვა კვლავ მატულობს. ტაბაი აცნობს გაშლილ სუფრასთან მსხდომთ, გაისმის გვარები და მათ შორის „მაცაშვილი“. მაცაშვილის გაგონებისას არჩიბალდ მეკემის ღელვამ კიდევ უფრო იმატა, ლამის შეჰყვირა კიდევ, გაფითრებულს მხოლოდ მაცაშვილის გვარი ესმოდა და ჩურჩულით ვიდაცის ნათქვამი: „შემოკლებით - მაცაში“², გუნებაში მეკემი მაცაშს დაუკავშირა და ყმანვილის დანახვისას სრულად შეიგრძნო რამდენად შორეული იყო მზერა - უძველესი რასის ყმანვილი, დამახასიათებელი სიმალლით, ტანადობით, ღია ფერის თვალებით.³

გრიგოლ რობაქიძე სუფრასთან მყოფ არჩიბალდ მეკემს მამის ლანდსაც მოჰკვრის და მკითხველი კიდევ ერთხელ გრძნობს, როგორი ღრმა და

¹ იხ. გრ. რობაქიძე. გველის პერანგი, თბილისი: მერანი. 1989. 33-34.

² იქვე: გვ. 35.

³ იხ. იქვე: 34.

დაუვიწყარია ეროვნული სული.¹ სამშობლოდან ასე შორსაც კი, ასე შორეული ქალდეას მინებიდან დღემდე შემორჩა ქართველში განცდა რაღაც დიდისა, უძველესი წარსულის სიამაყე, რომელიც ღრმად გულს გვითრთოლებს და ვგრძნობთ ნათესაობას, სულიერ კავშირს ქალდეასთან.

ქართველთა ლეკურის ცეკვა არჩიბალდ მეკემს მოგონებას უღვიძებს. გრიგოლ რობაქიძე გაკვირვებით მიგვანიშნებს- რა საერთო აქვს ლეკს „ლეკურთან“, ცეკვა თავიდან ბოლომდე ქართულია და ქართველის გარდა სხვა მას ვერავინ ვერ იცეკვებს, „რასსა არ ეყოფა.“²

მოგვიანებით, 1962 წლის წერილში - „ქართული გენია როკვით განფენილი“, გრიგოლ რობაქიძე მთლიანად გაშლის ქართული ცეკვისა და ქართული რასის ურთიერთობის საკითხს და კიდევ ერთხელ დაამტკიცებს „გველის პერანგში“ გახმიანებულ ამ ფრაზას.³

ლეკური ცეკვა მამის პირველ მოგონებას უღვიძებს, ლანდად გაკრთება ლეკურის მოცეკვავე ჩერქეზულად გამოწყობილი მამა: „ტანი მაღალი და ანურული. მხარი მსხვილი და კვრივი. შუბლი ღია და თან ამაყი. თვალები თათლისფერი“⁴... არჩიბალდ მეკეში ცხოვლად გრძნობდა მამის ლეკურის ჩამოვლას, თვალზე ცრემლმომდგარი სუფრაზე პირქვე ეშვება. მოცემული ეპიზოდით გრიგოლ რობაქიძე ქართული რასისი გამორჩეულობაზე კიდევ ერთხელ ამახვილებს ყურადღებას და ნიშნისმოგებით გვაახლოვებს არჩიბალდ მეკემის ქართველურ ფესვებს.⁵

მეორედაც, ქართული სიმღერა მიიყვანს არჩიბალდ მეკემს ვამეხ ლაშხამდე. მოგვიანებით ვიგებთ, რომ ვამეხი მისი ღვიძლი ძმია. ქართული სისხლის თვისება- მიიზიდოს სისხლი, რომელსაც „სისხლის ყვილს“

¹ იხ. იქვე: 40.

² გრ. რობაქიძე. გველის პერანგი, თბილისი: მერანი. 1989. გვ. 39.

³ იხ. გრ. რობაქიძე. ჩემთვის სიმართლე ყველაფერია თბ. 1996. გვ. 175

⁴ გრ. რობაქიძე. გველის პერანგი, თბილისი: მერანი. 1989. გვ. 40.

⁵ იხ. იქვე: გვ. 39-40.

ვენოდებთ, რომანში არაერთგან ხმიანდება, მოცემული ფაქტი კიდევ ერთი მაგალითია ამისა.¹

გახელებული ვამეხი - ვამეხ ლაშხის ის სახეა, რაც პირველად არჩიბალდ მეკემს წარმოუდგება წინ; არჩიბალდს მოსწონს იგი, თვალს ვერ წყვეტს. სიტყვიერი შეხლა-შემოხლა ხელჩართულ ჩხუბში გადაიზრდება და მეკეშიც, შეპყრობილი ვამეხის სიამაყითა და ვაჟკაცობით, მის დასახმარებლად საჭირო დროს ერთვება ჩხუბში. „ალანის“ გამოჩენა შფოთს არღვევს. ვამეხი და არჩიბალდი ახლა ერთურთს თვალით ზომავენ. ავტორი ოსტატურად იძლევა მინიშნებას რომანში განვითარებული შემდეგი მოვლენებისთვის - „თვალეში ეხლა - უცხო სიხარულია“.²

ხმლის წარწერა არანაკლებ დაიპყრობს არჩიბალდის გონებას, „ირუბაქიძე“- ვერ წყვეტს ფიქრს საქართველოზე. ვაჟის გონება ამღვრეულია და მშობლიურმა ფიქრმა გაიტაცა; გრძნობს, მოვიდა დრო მამის დანატოვარი საგვარეულო კოლოფის გახსნისა. მთავარი კვანძი სწორედ აქ იხსნება.³

კოლოფში მოთავსებულ პაკეტზე ქართული წარწერაა „ირუბაქიძე“⁴. დაბნეული არჩიბალდ მეკეში ემოციების ზღვარზეა, მოულოდნელად შემოსულ სარგისს წერილის წაკითხავს სთხოვს.⁵

გრიგოლ რობაქიძე საქართველოს უძველესი წარსულის ლანდებს სწორედ აქ წარმოაჩენს და არჩიბალდ მეკემის წარმომავლობის უშორეს ფესვებში გარდაქმნის:

„575 წ. ქრისტეს დაბადებიდან. თვე ივლისი. გარდაიცვალა თავადი ირუბაქ ირუბაქიძე. თავისი გვარი ქალდეიდან გამოჰყავდა. სიტყვა

¹ იხ. იქვე: გვ. 7-303.

² გრ. რობაქიძე. გველის პერანგი, თბილისი: მერანი. 1989. გვ. 74.

³ იხ. იქვე: გვ. 80-86.

⁴ იქვე: გვ. 86.

⁵ იხ. იქვე: გვ. 86.

„ირუბაქ“ ქალდეური ძირისაა. უნდა ნიშნავდეს ხის კორძს: საკუთრივ ძელქვისას.“¹

ამის მოსმენისას არჩიბალდი ლელვას ვეღარ იკავებს. სარგისი კითხვას მაინც განაგრძობს და ვიგებთ: თავის მხრივ ძელქვა ხის ცეცხლია, ამიტომაც ამ გვარის წარმომადგენლებს ახასიათებთ გაცეცხლება, გახელება, ბუნებით კეთილთ, ჰყვარებიანთ სიმღერა და ლექსების წერაც შეეძლოთ. 1250 წელს, მონღოლობის შემოსევისას, მათ მარტო დიდი კარდუ არ დაემორჩილა „ნაშიერი დიდის თავადის ირუბაქ ირუბაქიდისა“.² შეუღწეველ ტასის-კარის საიდუმლო მოღალატემ გასცა და კარდუ იძულებულია გაიქცეს, ცხენით მოსული ლტოლვილთა გმირი უფსკრულში იჩეხება. ავტორი დაღუპულ გმირს ლაშარის სახელს უკავშირებს და აქვე გვამცნობს, რომ გმირი არ დაღუპულა და მას ლაშარს ეძახიან.³

ირუბაქიდეთა შთამომავლობას ერთი საერთო, გარეგნული ნიშანი ჰქონიათ - მკერდის შუაგულში მზის ნიშანი. მომდევნო თაობებში ცხენით ხევში გადაჩეხვა ბედისწერად იქცა და მათ თან სდევდა გამუდმებული სენი მონატრებისა. მოგვიანებით, ირუბაქიდეთა გვარი მაყას და ჩოლოყას შტოდ გაიყო, აქედან წარმოიშვნენ მაყაშვილები და ჩოლოყაშვილები. არჩიბალდ მეკეშისთვის ეს ცნობა უცხო არ არის, მას უკვე სმენია ამ ორი გვარის შესახებ; მან უკვე იცის საით მიჰყავს წერილებს მისი ბედი.⁴

ბოლო წერილში მამის ხელს შეიცნობს მეკეში. თამაზ მაყაშვილი, როგორც ირუბაქიდეთა გვარის წარმომადგენელი, ბოლო ცნობებს გვანვდის გვარის შესახებ. ირუბაქიდეთა გვარი ბოლო საუკუნეში დასახლებულა კახეთში - იყალთოში. აქაც იმარჯვა ბედისწერამ და მოედოთ სენი შეშლილობისა და ბნედისა. სენისგან თავდასახსნელად იმერეთში გაქცევა წარუმატებლობით დასრულდა - თამაზ მაყაშვილის ოჯახი ამ სენმა

¹ იქვე: გვ. 86.

² იქვე: გვ. 90.

³ იხ. გრ. რობაქიძე. გველის პერანგი, თბილისი: მერანი. 1989. 88-91.

⁴ იხ. იქვე: გვ. 91-92.

იმსხვერპლა. მისი შთამომავლობაც ნელ-ნელა იღუპებოდა, დარჩა მხოლოდ თვითონ და მისი ვაჟი - არჩი. გადაშენების შიშით შეპყრობილი თამაზ მაყაშვილი ევროპაში გადავიდა საცხოვრებლად, შეეცადა წარსულის აჩრდილები მოემორებინა და ვაჟს სახელი არჩიბალდით შეუცვალა, გვარი კი მეკეშით. სევდას აქაც ვერ გაექცა, სენი მოერია და გადაწყვიტა შვილს იქამდე განშორებოდა სანამ სენს სამუდამოდ არ დაამარცხებდა.¹

ამ ამბიდან არც ისე დიდი ხნის შემდეგ, სარგის პეტრიძეს სენი შეიპყრობს, გამუდმებით წერილში ამოკითხულ სიტყვებს იმეორებს და არჩიბალდ მეკეში მაშინვე ირუბაქიძეთა სენს უკავშირებს, მამალ ცეცხლს - ძველ ქალდეველთა ცეცხლს, რომელიც დღემდე წვავს მოდგმას.²

როსტომ ჩხეიძე გრიგოლ რობაქიძეს არჩიბალდ მეკეშის პროტოტიპად მიიჩნევს. ამით ხსნის ავტორის სწრაფვას ქართული მოდგმის ფესვებისკენ. გრიგოლ რობაქიძის წარმოსახვითი წინაპარი ამიტომაცაა ირუბაქ ირუბაქიძე, წარმოსახვითი პიროვნება, თუმცა რეალურზე გაცილებით რეალური. გვარი, რომელიც ქალდეიდან გამოჰყოლია შთამომავლობას მაყაშვილებამდე მიდის, ლეგენდების ბურუსში ეხვევა, რაც ირუბაქიძეთა გვარისათვის ნიშანდობლივად მიაჩნია როსტომ ჩხეიძეს.³

ლეოპოლდ ციგლერსაც, მსგავსად როსტომ ჩხეიძისა, გრიგოლ რობაქიძე ქალდეველთა წინაპრად ესახებოდა. მემკვიდრეობით გადმოცემული ცხოვრების არეში მდგარს წარმოიდგენდა გრიგოლ რობაქიძეს, შვილიშვილს ქალდეურ ერთა ნანგრევებისა, ამავე ნანგრევების შუაში მყოფსა და მითიურ დროში გახვეულს.⁴

სწორედ ამიტომ პოულობს ირან-მესპოტამიის მიწაზე მდგარი გრიგოლ რობაქიძე, თუ სადაა მისი პოეტური ფესვები. მიწის ფენომენს მის არსებაში

¹ იხ. იქვე: გვ. 95.

² იხ. იქვე: გვ. 56-101.

³ რ. ჩხეიძე. მზის შვილები. თბილისი: ომეგა თევი. 2010. გვ. 57.

⁴ თ. პაიჭაძე. მოდერნიზმი და ქართული ლიტერატურა. თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2018. გვ. 237.

განსაკუთრებული ადგილი ჰქონდა და ეს არაერთხელ გამოხატა შემოქმედებაში, მაგრამ დღევანდელი ირანის ტერიტორიაზე, მიწის განცდა კოსმიურ მოვლენად გარდაიქმნა და მზემაც ასტრონომიული მოვლენის გარდა სიმბოლური მნიშვნელობა შეიძინა.¹

მითოლოგიური ქარგის გარდა, გრიგოლ რობაქიძე წარსულთან წერის მანერითაც გვაახლოებს, შემთხვევითი არაა რომანში ქართველი მთის ხალხისთვის დამახასიათებელი რთული ენის გამოყენება.

გრიგოლ რობაქიძის სამწერლობო ენა ზოგადად ლაკონური, ძირმაგარი და ძარღვიანია; ეს ენობრივი ერთეულები და სამეტყველო სტილი მას ხევსურების, ქისტების, მეგრელებისა და სვანებისაგან შეუთვისებია. რუდოლფ კარმანის შეფასებით, ასეთი სასაუბრო მანერა მხოლოდ უძველესი ადამიანებისთვისაა დამახასიათებელი. აქვე ქართული სიტყვის მოგვს უწოდებს გრიგოლ რობაქიძეს და დასძენს, რომ მისი ენა არის როგორც ქარიშხალი და როგორც უღერადი ლითონი.²

მთის ხალხში ნაპოვნი სიტყვათა მარაგი „გველის პერანგსაც“ თავიდან ბოლომდე მიუყვება, რაც კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს ათასწლოვანი, ბურუსში გახვეული ისტორიის მისეულ ხედვას. რთული სამეტყველო ენა უფრო ძველ დროში გვაბრუნებს, ვიდრე თანამედროვე ენაზე დაწერილი წარსულის ლეგენდები.

აკაკი ბაქრაძე, თავადაც ქართული ფესვების მაძიებელი, თვალს მიაღწევნებს გრიგოლ რობაქიძისეულ ენას, თუ როგორ გამოავლინა ქართველი ხალხის შინასახე, როგორ დაადგინა სინმინდესთან სიცოცხლის კავშირი ქართული ენის მეოხებით. გრიგოლ რობაქიძემ დაინახა ცეცხლის, სიცოცხლის, სინმინდისა და სიმტკიცის კავშირი მითიური კუთხით. აკაკი ბაქრაძე წარმოაჩენს გრიგოლ რობაქიძის მიერ შექმნილ თაურარსს მითიური

¹ რ. ჩხეიძე. ქალღმერთი მონატრება. თბილისი: ლომისი. 2002. გვ. 33.

² ქართველი მწერლები სკოლაში, გრიგოლ რობაქიძე, ტომი XV. რედაქტორი მურდულია გ. გამომცემლობა საქართველოს მაცნე. გვ. 303.

საქართველოსი და დასძენს, რომ მისთვის საქართველოს ისტორიულ წარსულზე უფრო ნამდვილი, მითიური ისტორია იყო.¹

ნიგნში „კარლუ ანუ გრიგოლ რობაქიძის ცხოვრება და ღვანლი“ - აკაკი ბაქრაძე გრიგოლ რობაქიძის პიროვნებისა და შემოქმედების მთავარ ფასეულობას იკვლევს. კარლუ ანუ ქართველთა თაურთენომენი აკაკი ბაქრაძისთვისაც ინტერესის საგანს წარმოადგენდა. თავად მას ქართულ ენაში - სიტყვებში ეძებდა და მიაჩნდა, რომ ეს იყო ერთადერთი ჭეშმარიტი და მართალი გზა. გრ. რობაქიძის შემოქმედებას კი არამხოლოდ ქართული, არამედ მსოფლიო ლიტერატურულ კონტექსტში მოიაზრებდა. გრიგოლ რობაქიძემ კარლუ დააყენა ქართული მსოფლხატის შუაგულში, რომლის სახელწოდებაც აიღო „ქართლოსიდან“, ბერძნული დაბოლოების გარეშე, იმავდროულად, კარლუ ენათესავება „ქალდეას“ - ქართველთა უძველეს სამშობლოს².

ამრიგად, რომანი „გველის პერანგი“, სახისმეტყველებითი შინაარსით გვიყვება ქართველთა მოდგმის განვლილ გზას, დასაბამიდან მეოცე საუკუნემდე. ავტორი მითად გარდაქმნილ ამ იტორიულ მოვლენას რთული სამწერლობო ენით გვიყვება. არქაიზმებისა და მთის ხალხისთვის დამახასიათებელი მეტყველებით თხრობა კიდევ უფრო გვაახლოებს ფესვებთან და ქმნის წარსულში მოგზაურობის იმიტაციას.

§.4. ქართული ხასიათისა და რასის პრობლემა რომანში „გველის პერანგი“

¹ იხ. მ. ჯალიაშვილი. აკაკი ბაქრაძე და გრიგოლ რობაქიძე, <http://mastsavlebeli.ge/?p=25617>,

² იხ. ა. ბაქრაძე. კარლუ ანუ გრიგოლ რობაქიძის ცხოვრება და ღვანლი. თბილისი: ლომისი. 1999. გვ. 87-96.

გრიგოლ რობაქიძემ, რომანში „გველის პერანგი“, ქართული ხასიათის შესახებ საუბარი რასის პრობლემატიკის წინ წამოწევით სცადა, რადგან მისთვის „რასა“ დიდმნიშვნელოვანი, ერის ერთად ქცევის ფუნდამენტი და ქვეყნის ძლიერების საწინდარი იყო. არაერთ წერილში ამახვილებს ყურადღებას ქართული ხასიათის თვისებებზე და ქართული რასისთვის დამახასიათებელ აღნაგობაზე, ნიჭსა და ტალანტზე. „ქართული გენია“¹- ასე უწოდებს ქართველთა ნიჭიერებას, წერილში „ქართული გენია როკვით განფენილი“.²

გრიგოლ რობაქიძე და კონსტანტინე გამსახურდია აქტიურად ილაშქრებდნენ სხვადასხვა ერთა შორის ქორწინების წინააღმდეგ. ეს უპირველესად განპირობებული იყო საქართველოს მაშინდელი მდგომარეობით; ქვეყნებს შორის ეკონომიის განვითარებამ, სოციალისტური თეორიების დანერგვამ, ქვეყნის ტერიტორიაზე სხვადასხვა ერის კოლონიების მომრავლებამ ნათელი გახადარასების აღრევა საფრთხეს უქმნიდა ერის სინმინდეს.

გრიგოლ რობაქიძისთვის სისხლის აღრევა არასდროს ყოფილა დაკავშირებული სისხლის განახლებასთან; გამომდინარე აქედან, პირდაპირ მოითხოვდა ერის სინმინდეს და კატეგორიულად უარყოფდა ქართველის ქორწინებას სხვა ერის შვილებზე. თბილისი მწერლისთვის „რასიულად არანმინდა, ჰიბრიდულ ქალაქად ანუ „ბაბილონად“ იქცა“³.

არჩიბალდ მეკემს მხოლოდ ერთი პიროვნება უყვარს, მანამდე სიყვარული არც დამური ახსოვს და არც ქალ-ვაჟური. ოლვა ბალაშოვაა ის ერთი, რომელის სიყვარული ღრმადაა მასში გამჭდარი.⁴

გრიგოლ რობაქიძემ ოლვა ბალაშოვა პიროვნულად სრულყოფილ და ფიზიკურადაც უმშვენიერეს ქალად წარმოგვიდგინა; ოლვა ბალაშოვა სიმბოლოა არაქართველი ქალის პატიოსნებისა და ვაჟკაცობის, გამბედაობისა და ბრძოლისუნარიანობის.⁵

¹ გრ. რობაქიძე. ჩემთვის სიმართლე ყველაფერია. თბილისი. 1996. გვ. 175.

² იხ. იქვე: გვ. 175-179.

³ სიგუა ს. მოდერნიზმი. თბილისი: 2014. გვ. 272.

⁴ იხ. გრ. რობაქიძე. გველის პერანგი, თბილისი: მერანი. 1989.

⁵ ა. ბაქრაძე. მწერლობის მოთვინიერება, ელექტრონული წიგნი: <<http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/318748?locale=ka> > გვ. 158.

მიუხედავად გრძნობათა ლელვის და დიდი სიყვარულისა, მწერალი მათ სიყვარულს საბუდამოდ განყვეტს. ვამეხის დახვრეტისაგან დასაცავად ოლგა უდიდეს დათმობაზე მიდის - ერთი ღამით სარეცელს უზიარებს სრულიად უცხოს; ამ ღამის შემდეგ სულიერად ტყდება, იცის არჩიბალდი ვაჟკაცია, ამას დაიფინყებს, მაგრამ თავად ვერ უმკლავდება მოგონებებს და ტანჯვისგან დასახსნელად სიკვდილს მოისწრაფებს.¹

ამრიგად, გრიგოლ რობაქიძე რომანშიც არ მისცემს ქართველ არჩიბალდ მეკემს ქორწინების უფლებას ზნეობრივად მაღალ, მაგრამ არაქართველ ოლგა ბალაშოვაზე და ასეთი მძიმე და ემოციური ეპიზოდით, კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ქართული ერის სინმინდის საკითხს.

ქართველი ერისთვის დამახასიათებელ ნიშნებს მწერალი ყველგან ეძებდა, ეს იქნებოდა დიალექტური თუ სალიტერატურო მეტყველება, ტრადიციები და წესჩვეულება, მეგობართა წრესა თუ სუფრაზე მოლხენისას, ცეკვისა და სიმღერის დროს.² დაკვირვებით მიღებული ცოდნა მწერლის შემოქმედებით ბრძმელში გატარების შემდეგ, რეალიზებას ნაწარმოებში ჰპოვებდა. „გველის პერანგის“ არაერთ ეპიზოდშია ამის მაგალითი, არჩიბალდ მეკემის შეხება ყოველგვარ ქართულ საგანთან თუ მოვლენასთან მასში განსაკუთრებულ გრძნობებს იწვევს; რომანში ეს „სისხლის ყივილად“ ხმიანდება, როგორც ავტორი უწოდებს იმ „მამალი ცეცხლისა“³, რაც ქალდეადან მოგვდგამს. მამის, ვამეხისა და არჩიბალდ მეკემის გარეგნული დახასიათება ერთმანეთს ძლიერ ჩამოჰკავს, რომანში კარგად ჩანს, რომ ეს არამართო ნათესაური კავშირის შედეგია, არამედ რასისთვის დამახასიათებელი ნიშანი, ქართული ჯიშის გამოვლენაა.

სისხლის გამოძახილი მიიყვანს არჩიბალდ მეკემს სამშობლომდე, ქართული სისხლი შეგვიძლია რომანის მიხედვით განვსაზღვროთ, როგორც პიროვნების ბედისწერა. თავად გრიგოლ რობაქიძეც, ქვეყნიდან გადახვეწილი, საქართველოს და ქართველთა ბედზე სწუხდა და წერდა. სწორად შენიშნავს მწერალი და კრიტიკოსი სოსო სიგუა: „პოეტისთვის ენა არის მასალა. მასში იმალება საგანთა არისი და სულში არსებული სამყაროს მისტიკა. და მიანც, თუნდაც წერდეს უცხო ან

¹ იხ. გრ. რობაქიძე. გველის პერანგი, თბილისი: მერანი. 1989. გვ. 263-266.

² იხ. სიგუა ს. მოდერნიზმი. თბილისი: 2014. გვ. 272.

³ გრ. რობაქიძე. გველის პერანგი, თბილისი: მერანი. 1989. გვ. 96.

მშობლიურად ქცეულ ენაზე, ავლენს თავის წარმომავლობას, ნამდვილ ნაციონალურ ბუნებას.“¹

ქართული სისხლის მოსვენებას არ აძლევდა გრიგოლ რობაქიძეს; უცხო ცას შეფარებული, უცხო ენაზეც განაგრძობდა ქართულ მოტივებზე წერას და ქვეყნისადმი პატრიოტიზმსა და ერთგულებას ამით ამტკიცებდა.

მწერალმა არჩიბალდ მეკეშის, როგორც პიროვნების სახე განაზოგადა; პიროვნების არსებით, განუყოფელ და ძირითად მეობად ქართული ვაჟკაცური სული აქცია; ქართველთა წარმოშობის სათავეს ძიება, ინდივიდის შინაგან მისწრაფებად - მამის და სამშობლოს ძიებად გარდაქმნა. არჩიბალდის აზრები საკუთარი თავის შესახებ, რომ მას არავინ ყავს ამ ქვეყნად, საპირისპიროდ გარდაიქმნება, როგორც საქართველოს წარსულისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება ნელ-ნელა იფანტება ქართველთა წარმოშობის შესახებ შემუშავებული, თეორიულად დამტკიცებული, კონცეფციების შემდეგ.

როსტომ ჩხეიძე დასვამს კითხვას- გურამ ასათიანი მხოლოდ კონსტანტინე გამსახურდიას დაასახელებდა თუ არა „ხორცშესხმულ სიმბოლოდ ქართველი კაცის მსოფლგანცდისა“² იმ შემთხვევაში, თუ გრიგოლ რობაქიძე საბჭოთა ხელისუფლებისთვის მიუღებელი პიროვნება არ იქნებოდა? მიუხედავად იმისა, რომ კონსტანტინე გამსახურდიას და გრიგოლ რობაქიძეს არასდროს ჰქონიათ მეგობრული ურთიერთობა, ორივეს აინტერესებდა და აღელვებდა ქართული რასის სინმინდის საკითხი, მათი ლიტერატურულ-ენობრივი ძიებებიც ერთმანეთს ჩამოჰკავდა. სწორედ ამიტომ, როსტომ ჩხეიძე თავისივე კითხვას პასუხობს - „ორივეს.“³ მან წარმოაჩინა და ფართოდ გაშალა ტიცვიან ტაბიძის და გრიგოლ რობაქიძის წარსულისადმი მისწრაფებები, ლიტერატურაში გაცოცხლებული რეალური

¹ ს. სიგუა. აღთქმული მინის ძიება. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1984. გვ. 52.

² რ. ჩხეიძე. ყოველივე ენერჯის გაშლა. საგურამო. 2018. №14. გვ. 19.

³ რ. ჩხეიძე. ყოველივე ენერჯის გაშლა. საგურამო. 2018. №14. გვ. 19.

ფაქტები თუ გამოგონილი წარსულის ისტორიები, რომლებიც დაიჯერეს და დააჯერეს მკითხველ საზოგადოებას.¹

გურამ ასათიანი თავის მოსაზრებას ქართველებზე სხვისი პირით გაახმოვანებს: „ქართველ კაცს ყოველთვის უნდა, ცოტა მეტი იყოს იმაზე, რასაც სინამდვილეში წარმოადგენს“.² გრიგოლ რობაქიძეც ამავეს ცდილობდა ირუბაქიძეთა მითის შექმნისას და მისი გავლენით, ტიციან ტაბიძეც საკუთარი გვარის განდიდების გზებს ეძებდა.³

გრიგოლ რობაქიძემ ქართველთა ხასიათის მნიშვნელოვანი თვისებები, რომლებიც ხაზს უსვამს ქართველურ რასას, დაუკავშირა უძველეს ქალდეველ ხალხს. მწერლისეული ფანტაზიით, რაც ისტორიულად დამტკიცებული კონცეფციებიდან მომდინარეობს, ქართველების უძველესი სამშობლო ქალდეაა და ამ უძველესი დროიდან მოგვყვება ხასიათის სიფიქსე, ამაყი ბუნება და უიღბლობა. სხეულის აღნაგობის რასიული ნიშნებიც ქალდეველთა ქვეყნის ხალხს უკავშირდება და წარმართულ რწმენასთან სინთეზირდება - მათ გამოარჩევთ მკერდზე მზის ნიშანი. გრიგოლ რობაქიძითვის რასიული სინშინდე ყველაფერზე მაღალ დგას. რომანში განვითარებული მოვლენების მიუხედავადაც, ცდილობს, ამ რწმენის ერთგული დარჩეს.

თავი 2. „ქალდეას ქალაქების“ თემა ტიციან ტაბიძის შემოქმედებაში

§.1. ტიციან ტაბიძის „ქალდეური ციკლის“ ლექსები

1913 წლიდან ტიციან ტაბიძის ცხოვრებაში ახალი ეტაპი იწყება, სასწავლებლად მიემგზავრება რუსეთში და მოსკოვის უნივერსიტეტის

¹ იხ. იქვე: გვ. 19-21.

² გ. ასათიანი. კრიტიკული დიალოგები, წერილები, პორტრეტები, ესკიზები. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1977. გვ. 8.

³ რ. ჩხეიძე. ყოველივე ენერჯის გაშლა. საგურამო. 2018. №14. გვ. 29.

ფილოლოგიის ფაკულტეტზე აგრძელებს სწავლას. თამარ ჰაიჭაძე, ტიციან ტაბიძის ცხოვრების ამ პერიოდს ტკბილ-მწარე მოგონებებით სავსეს უწოდებს. ერთის მხრივ, ანტიდემოკრატიული და რეაქციული განწყობები, რომელიც უნივერსიტეტში იყო გავრცელებული. მეორეს მხრივ, შესაძლებლობებით სავსე გარემო და შანსი მოსკოვურ ლიტერატურულ ელიტასთან ყოფნისა. ლიტერატურულ ბომონდთან ურთიერთობას ცხადია მათი შემოქმედებისა და აზრების გაცვლა სდევდა თან.¹

მოსკოვში მიღებულმა გამოცდილებამ, განათლებამ, შთაბეჭდილებებმა, გარემომ და მის გარშემო საზოგადოებამ ტიციან ტაბიძე, როგორც შემოქმედი პიროვნება გარდამტეხი ნაბიჯებისთვის მოამზადა, პოეტის მსოფლმხედველობა ჩამოაყალიბა და მხატვრულ შემოქმედებით გზას მიმართულება მისცა.²

1914-1915 წლებში უკვე დაწერილი აქვს არაერთი ლექსი: „მგოსნის სონეტი“, „თეთრი სიზმარი“, „ჩემი წიგნი“, „ლურჯი ედემი“ და სხვები, რომლებშიც ჩანს პოეტის შემოქმედებითი არჩევანი, ჩამოყალიბებული გრძნობები, ხელოვნების მშვენიერების ფორმათა შესახებ, მხატვრულ შემოქმედებაში. ამავე წლებში შეიჭრა მის შემოქმედებაში რემინისცენციები: პიეროს, ორპირის თუ ქალდეასი.³

„ქალდეას ქალაქების“ ციკლის სულ ოთხი ლექსი დაბეჭდა ტიციან ტაბიძემ. სოსო სიგუა შეგვახსენებს კაცობრიობის ისტორიის სანწყის და ჰიპოთეზას ქართველთა ქალდეური წარმოშობისა; სწორედ ამით ხსნის პოეტის მისწრაფებას წინაპარ მოგვთა საფლავებისადმი და პოეტის

¹ იხ. ჰაიჭაძე. მოდერნიზმი და ქართული ლიტერატურა. თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2018. გვ. 181-182.

² იხ. იქვე: გვ. 182.

³ იხ. იქვე: გვ. 182.

მონატრებას ძველი ქალდეას ქალაქისა თუ მისი დანგრეულ კიბეთა მიმართ.¹

ტიციან ტაბიძე 1915 წელს წერს ქალდეას არქექტივის პირველ ლექსს, რომელიც წინ უსწრებს „ქალდეას ქალაქების“ ციკლს. „ქალდეას სიზმრები“ ასე უწოდებს ლექსს და გააცხადებს საუკუნეთა მიმქრალ ნაკვალევს:

„მწველი ოცნებით ვკოცნი ნაკვალევს,
ვიგონებ მიმქრალ ქალდეას სიზმრებს“²...

პოეტისთვის ძველი საქართველოს მოგონებანი სიზმრებში ცოცხლდება და ახსენდება მოგვი წინაპრების თხოვნა -არ განვუდგეთ დამწვარ ქიმერებს.

კიდევ ერთი ნიშანდობლივი პასაჟი შემდგე სტრიქონებში გვხვდება:

„სიზმართ კოცონმა დასწვა ქაოსი,
აღმოსავლეთით ცეცხლი ინთება.“³

უძველესი ხალხი და მათ შორის ქალდეველებიც, მზეს ეთაყვანებოდნენ. „აღმოსავლეთის ცეცხლში“ სწორედ მზე იგულისხმება, რომელიც ცას რძის ფერს აძლევს და მისი სხივები დევთა ნაკვალევს მიუყვება.

ცხელი სიზმრით დამდნარი, მკვდარი უდაბნო ისმენს სიმღერებს, რომელთაც ძველი იმედი და დამლუპველი ბედის გადმოცემა სდევს თან. ლექსის ეს სტროფი განსაკუთრებული გრძნობის გამომხატველია, მიგვანიშნებს იმ ბედზე, რაც წილად ხვდა საქართველოს უძველესი დღიდან დღემდე. თითქოს ჩაკეტილია ბედისწერა, რომელიც ყოველთვის უბედობისკენ მიდის.

¹ ს. სიგუა. მოდერნიზმი. თბილისი: 2014. გვ. 107.

² ტ. ტაბიძე. რჩეული. თბილისი: სახელმწიფო გამომცემლობა. 1960. გვ. 202.

³ იქვე: გვ. 202.

პოეტის რწმენა, კაცობრიობის აკვნის, ქართველთა უძველეს სამშობლოდ მიჩნევისა, ლექსის დასასრულს ხმიანდება:

„ტიგროს ევფრატი მირწევდა აკვანს
და კუბოს მირწევს რიონი მტკვარი“¹...

ამ სტრიქონებით, მისივე სიტყვით რომ განვმარტოთ - ძველ საქართველოს საუკუნეთა ვუალი ჩამოხსნა.

ნიშანდობლივია ლექსში ელიაზარის ხსენებაც; ძველი აღთქმის მიხედვით, ელიაზარი მოსეს ძმის, აარონის შვილია; ელიაზარი და მისი ძმა ითამარი პირველი მღვდელმთავარნი იყვნენ; ტიციან ტაბიძე, 1916 წელს დაწერილ ლექსში- „მოგვი წინაპარი“ სწორედ თავისი გვარის მღვდელმსახურეობრივ ღვანლზე მოგვითხრობს და წინაპრების ნაკვალევს უძველეს ხალხში, ქალდეველ მაგებში ეძებს:

„გრძელია უამი, ღვდელმსახურებს
რაც ჩემი გვარი.
ვინ დათვლის წირვას, რაოდენი
გამოიყვანეს.“²

ლექსში ჩანს, რომ პოეტს გაცნობიერებული აქვს თავისი ბედისწერა. იცის, რომ საკუთარი შემოქმედებითი და პოეტური უნარები არა მის სურვილზე ან არჩევანზეა დამოკიდებული, არამედ ბედისწერაზე, ტრადიციაზე, შთამომავლობით გადმოცემულ ნიშანზე და ხვდება ახლა თუ ქალდეა რად ენატრება.³

„წიგნიდან „ქალდეას ქალაქები“ - ციკლის პირველი ლექსია; როსტომ ჩხეიძე შენიშნავს, რომ სათაურივე გვამცნობს ტიციან ტაბიძის განზრახვას ამავე სახელწოდების მთელი წიგნის შექმნისა; მეცნიერისთვის ეს ფაქტი პოეტის მისწრაფებების ასახსნელად მეტად

¹ ტ. ტაბიძე. რჩეული. თბილისი: სახელმწიფო გამომცემლობა. 1960. გვ. 202.

² იქვე: გვ. 189.

³ იხ. თ. პაიჭაძე. მოდერნიზმი და ქართული ლიტერატურა. თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2018. გვ. 179.

საყურადღებოა.¹ ლექსი ჯერ კიდევ მოსკოვში ყოფნისას დაუნერია და წარსულის გამოძახილის გარდა სხვა სიმბოლური დატვირთვის მატარებელიც გახდა.²

პოეტის ლირიკა თანდათანობით უფრო დამახასიათებელი და მკვეთრი გახდა. ქართულ მწერლობაში გაბატონებულ ტენდენციას „გამარტივებული ორთოგრაფიისა“ დაუპირისპირდა შემოქმედებითი ორთოდოქსალიზმით.³

„წიგნიდან „ქალდეას ქალაქები“ და „ავტოპორტრეტი“ ტიცთან ტაბიძის „სიმბოლისტური ვნებების“ ერთგვარ საზომ სტანდარტად იქცა რუსული და ფრანგული მოდერნისტული მსოფლალქმისა. ამასთან, ქართული საზომით, მხატვრული მოდელირების გაზომვის მცდელობასაც ავლენს.⁴

„ავტოპორტრეტის“ სტრიქონები ცისფერყანწელებმა მაშინვე შერაცხეს საკუთარი ლიტერატურული მიზნების მხატვრულად ასახვის ნიმუშად; მოდერნიზმის მოწინააღმდეგე მხარემ კი ბოლღად შერაცხა. მიუხედავად ამისა, ტიცთან ტაბიძისთვის ეს ლექსი შემოქმედების სავიზიტო ბარათად და პოეტური ხელოვნების ახალი ესთეტიკის საწყისად იქცა. კიდევ უფრო მწვავე რეაქცია მოჰყვა „ქალდეას ციკლის“ ლექსებს, ვინაიდან ქართველი მკითხველის გამონვევა სიახლისაკენ კიდევ უფრო მკვეთრად აისახა. ქართველი ერის გენეტიკური წარმომავლობის ისტორიული კონცეფციები, რომლითაც საზრდოობდა პოეტის შემოქმედება, ცისფერყანწელთათვის განუყოფელ ნაწილად იქცა.⁵

¹ იხ. რ. ჩხეიძე. ქალდეას მონატრება, თბილისი: ლომისი. 2002. გვ. 27.

² იხ. თ. პაიჭაძე. მოდერნიზმი და ქართული ლიტერატურა. თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2018. გვ. 184.

³ იხ. იქვე: გვ. 184.

⁴ იხ. იქვე: გვ. 184.

⁵ იხ. იქვე: გვ. 185.

ლექსში წარსულის ლანდებმა კიდევ ერთხელ, გაუსვა ხაზი თანამედროვე სამყაროსთან სინთემს, ახალ პოეტურ ასოციაციებს და განწყობას. მაია ჯალიაშვილი სწორად შენიშნავს, რომ ცისფერყანწელთა პოეზიაში მოხდა დროისა და სივრცის ორიგინალური და გამორჩეული დიფერენციაცია. დრო აქ უნდა გავიგოთ არა მხოლოდ ისტორიულ კონტექსტში, არამედ შემოქმედის გამოგონილი მხატვრული სამყაროს მიხედვით.¹ ტიცინ ტაბიძე „წიგნიდან „ქალდეას ქალაქებში“, პოეტურ ფანტაზიას მიმართავს და წერს:

„გაფიზის ვარდი მე პრუდონის

ჩავდე ვაზაში.

ბესიკის ბაღში ვრგავ ბოდლერის

ბოროტ ყვავილებს“²

ამით სათქმელი მითიური ბურუსით დაბურა, რომელიც შემდგომმა ლექსებმა უნდა გაფანტონ. სიმბოლისტური სტრიქონებით გამოხატა ახალი პოეტური პრინციპები. ცისფერყანწელთა შეხედულებით აუცილებელი არ იყო რეალურად არსებულიყო მოვლენის თუ პიროვნების სახელები. მათ მიერ გამოყენებული სახელები უფრო მეტს გულისხმობდა ვიდრე მათი მნიშვნელობა და გამოთქმა. ეს სახელები მნიშვნელოვანი იყო მათთვის, როგორც მითები; მიუხედავად ამისა, მათ შეეძლოთ შეექმნათ ახალი მითი; ეს გაცილებით რთული, მაგრამ ღირებული საქმე იყო, რადგან ყოველი საზოგადოება მის მიერ მნიშვნელობამინიჭებულ და არჩეულ რეალობაში ცხოვრობს.³

მაგალითად, პაოლო იაშვილმა შექმნა ელენე დარიანის მითი, გრიგოლ რობაქიძემ - ირუბაქიძეთა, ტიცინ ტაბიძემ - ქალდეასთან ერთად „მალარია“

¹ იხ. მ. ჯალიაშვილი. ქართული პოეზიის დენდები - ცისფერყანწელთა, http://maiajashvili.blogspot.com/2011/01/blog-post_9739.html

² ტ. ტაბიძე. რჩეული. თბილისი: სახელმწიფო გამომცემლობა. 1960. გვ. 185.

³ იხ. მ. ჯალიაშვილი. ქართული პოეზიის დენდები - ცისფერყანწელთა, http://maiajashvili.blogspot.com/2011/01/blog-post_9739.html

და „ორპირი“, კოლაუ ნადირაძემ კი „ყვითელი მალაელი“; ეს ახალი პოეტური მითები მთავარ წესს ემორჩილებოდა - გამოყენებული უნდა ყოფილიყო ყველა მათთვის საოცნებო სახელი, მათ შორის ლიტერატურული, ისტორიული, გეოგრაფიული ტოპონიმი, ძვირფასი ქვების სახლები და სხვა. ცისფერყანწლებმა ერთმანეთის შემოქმედება შეიყვარეს და თავადვე დაიწყეს მათი განდიდება, მსგავსად ფრანგი პოეტებისა.¹

ლექსში „ბირნამის ტყე“ ტიცთან ტაბიძემ ორი პარალელური სამყარო დააკავშირა - ბირნამის ტყის და უკვე მითად ქცეული ქალდეას ჩრდილის მოვლენები, კუმს მოუხრია ლორდი პიერო და ლედი მაკბეტი კი მოვრალ სტუმრებს პერანგ გახდილი უზით მუხლებზე, არტურ რემბო კი მტკივანი ფეხით ჭიანურს უკრავს, აქეთ კი:

„ყვითელ მალაელს მოსდევს პაოლო,
ფარშავანგების შემოჰკრა ალყა
და ოფელიამ თვალი მოავლო,
ვალერიანმა ჰამლეტს გაართყა“²...

ცისფერყანწელთა შორის სწორედ ამ სიყვარულსა და განდიდებაზე საუბრობს მაია ჯალიაშვილი; ისინი არ უცდიდნენ მომავალ პოეტებს და ერთმანეთს ზღაპრის გმირებად აქცევდნენ.³

ცისფერყანწელთა შემოქმედებაში ნაწარმოების სათაურები გათანაბრებულია ნაწარმოების გმირებთან და პოეტთა სახელებთან. „სანდრო ცირეკიძის აზრით, ქმედითი სათაურები თანაბარი იყო თვითონ წიგნისა და თავისთავად წარმოადგენდა ესთეტიკურ ღირებულებას“⁴ - შეგვახსენებს მაია ჯალიაშვილი, ცისფერყანწლების მიმოხილვისას. ასეთ ღირებულებას წარმოადგენდა პაოლო იაშვილის „წერილი

¹ იხ. მ. ჯალიაშვილი. ქართული პოეზიის დენდები - ცისფერყანწელები, <http://maiajaliashvili.blogspot.com/2011/01/blog-post_9739.html>

² ტ. ტაბიძე. რჩეული. თბილისი: სახელმწიფო გამომცემლობა. 1960. გვ. 178.

³ იხ. მ. ჯალიაშვილი. ქართული პოეზიის დენდები - ცისფერყანწელები, <http://maiajaliashvili.blogspot.com/2011/01/blog-post_9739.html>

⁴ იხ. იქვე.

დედას“, ტიცუან ტაბიძის „ქალღმერთი ქალაქები“ და სხვა. ეს სათაურები იქცნენ აბსოლუტურ ჭეშმარიტ მოვლენად, პოეტთა მუზად და იდეათა წყაროდ. ყოველ მოვლენასა თუ საგანში ეძებდნენ ორიგინალურ სახეთა წყაროებს და მათში წინასწარ ეძებდნენ „წარმომავლობის ნიღბით შემოსილი მარადიულობას“.¹

ტიცუან ტაბიძის ლტოლვა საქართველოს უძველესი ფესვებისადმი, უცხო არ ყოფილა გრიგოლ რობაქიძისთვის; 1919 წელს მან ლექსი მიუძღვნა ტიცუან ტაბიძეს, სადაც გახშირდა მისი ფიქრები პოეტისადმი.

ლექსში პირდაპირ პოეტს მიმართავს გრიგოლ რობაქიძე, მისი სონეტები შესატყვისად მიაჩნია გვარის ინდივიდუალური ბედისწერისა, კოსმოსის საერთო სივრცის ფარგლებში, რომელსაც ღვთაებრივი განგების გამომხატველი კანონები მართავს, ტიცუან ტაბიძის სიმღერებში ქალღმერთი სიმღერების გაგრძელებას ხედავს, სარეცელში კი წარმოიდგენს „იზიდას“, იგივე ისიდას - ეგვიპტურ მითოლოგიაში: ნაყოფიერებისა და დედობის მფარველ ქალღმერთს, იგი ასევე წარმოადგენს ეგვიპტის ყველა ფარაონის ღვთაებრივ მშობელს, რომელიც წარმოდგენილი ჰყავდათ ძროხისთავიან ქალად.²

გრიგოლ რობაქიძე თითქოს წარსულში აბრუნებს ტიცუან ტაბიძეს და ხელმეორედ გამოატარებს კაცობრიობის განცდილ ვნებებს.

ბედისწერა თან სდევს და ძველ შიშს გვრის, განცდილს როდესაც „ქვეყნის საშოს“³ სცილდებოდა. წარღვნის ლანდებიც აკითხავენ და სიკვდილის მოახლოება ფიქრს უფრთხობს როგორც „მორიალს“⁴.

გრიგოლ რობაქიძე მის რიტმს მუნჯს უწოდებს, რომელიც ღამის ბნელი ქაოსიდან მასში იცრება და როცა ხაოდანაც მოლურჯო ფერის

¹ იხ. მ. ჯალიაშვილი. ქართული პოეზიის დენდები - ცისფერყანწელები, <http://maiajaliashvili.blogspot.com/2011/01/blog-post_9739.html>

² იხ. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=3&t=17084>

³ ქართველი მწერლები სკოლაში, გრიგოლ რობაქიძე, ტომი XV. რედაქტორი მურდულია გ. გამომცემლობა საქართველოს მაცნე. გვ. 426.

⁴ იქვე. გვ. 426.

ავხორცული რამ მოესხმება, მაშინ იყვირებს საოცარ, საიდუმლო სიტყვებს:

„არ შეგეშინდეს ძნელი ცნობის: ბავშვო ტიცთან:

რომ დიონისო შენი ჩუმი ძმადნაფიცია“¹

მძიმე განცდების შემდეგ, განწყობა იცვლება, ლექსის დასასრულს ამშვიდებს გრიგოლ რობაქიძე და დიონისეს ძმადნაფიცს უწოდებს ტიცთან ტაბიძეს, დიონისეს, რომელიც ღვინისა და თრობის, სულიერი სიმშვიდის მომგვრელი ღვთაებაა ბერძნულ მითოლოგიაში.²

გრიგოლ რობაქიძის ეს განწყობანი, სავარაუდოდ, ტიცთან ტაბიძის ქალღეური ლექსების ციკლს მოჰყვა, რომელიც იმაზე შორს მიდიოდა ვიდრე ეს ქალღეური ზმანებაა. ლექსში „სამშობლო“ - უფრო შორსაც მიდის და წერს სტრიქონებს:

„იყო ქალღეა და ბაბილონი

იქნება უფრო შორი გზაც გვექონდა..“³

ტიცთან ტაბიძის დაინტერესება წარსულით ძალიან ღრმა აღმოჩნდა. მას განუზრახავს ქალღეის თემისთვის მთელი წიგნის მიძღვნა, რაც სავარაუდოა ერთი ლექსის სათაურით „წიგნიდან „ქალღეას ქალაქები“. პოეტი ლექსებით თავის აზრებს, მისწრაფებებსა და ოცნებებს გადმოგვცემს, ერთ-ერთ ლექსში ნათელია, რომ საკუთარ ფესვებს მზის მსახურ ქურუმებს უკავშირებს.

§. 2. ქალღეას არქეტიპი ტიცთან ტაბიძის პოეზიაში

¹ ქართველი მწერლები სკოლაში, გრიგოლ რობაქიძე, ტომი XV. რედაქტორი მურღულია გ. გამომცემლობა საქართველოს მაცნე. გვ. 426.

² იხ. <http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/>

³ ტ. ტაბიძე. რჩეული. თბილისი: სახელმწიფო გამომცემლობა. 1960. გვ. 64.

ტიციან ტაბიძის ინტერესის გამოვლენა წარსულისადმი „ქალდეური ციკლის“ ლექსებით არ შემოიფარგლება. მის პოეზიაში ვხვდებით ქალდეური არქეტიპის მატარებელ ლექსებს. მათ შორისაა: „ბირნამის ტყე“, „ღვდელი და მალარია კუბოში“, „ნუ გაიკვირვებ“, „სამშობლო“, „ცხენი ანგელოსით“...

მოცემული სიმბოლისტური ლექსებისთვის დამახასიათებელია არარსებული სამყაროს წარმოსახვა, სამყაროს ექსტრავაგანტული ხედვა, მუდმივი განახლება, სნეულების თაყვანისცემისა და განდიდების გამართლება.¹

ტიციან ტაბიძის პოეზიას, შეიძლება ითქვას, ჩრდილად მიუყვება ქალდეას მირაჟი, ამის გამო, პაოლო იაშვილი ლექსში - „ტიციან ტაბიძეს“, პოეტს „ქალდეას ჯვრით“ დალლილს უწოდებს.

ლექსების უმეტესობაში ქალდეა მართლაც ჩრდილივით გადაირბენს სტრიქონებს შორის, როგორც უცხო მიწისა და ქართული მიწის შეპირისპირება - „ბირნამის ტყე... ქალდეას ჩრდილი“ („ბირნამის ტყე“), როგორც ქართველთა უშორესი წარსული:

„იყო ქალდეა და ბაბილონი,

იქნება უფრო შორი გზაც გქონდა.“²

როგორც მწველი ცეცხლი, რომელიც სნეულს ცხელ ანათორად ეფინება:

„ინვის ქალდეა... გვეფარება

ცხელ ანათორად,

ყველა ცეცხლების ატრიალდა

ჩემში გრიგალი.“³

¹ იხ. თ. პაიჭაძე. მოდერნიზმი და ქართული ლიტერატურა. თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2018. გვ. 187.

² იქვე: გვ. 64.

³ იქვე: გვ. 173.

ლექსში „ცხენი ანგელოსით“ - პოეტი საქართველოს სარკვეში უშორეს გზებს ხედავს ქალდეადან - უღალ კავკასიამდე. საქართველოს ამ უშორეს ბედს, მისი აზრით, მხოლოდ ცხენით თუ დაენწევი; ესაა დროის ხაზი, რომელიც ქალდეას ზეციდან იწყება და დღევანდელ საქართველოს გაშლილ ველამდე მოდის. ლექსში თავს ნაბოლარა პოეტს უწოდებს, დიდ პოეტთა შორის და ასახელებს გამორჩეულ ქართველ ქალებს, რომელთა შორისაც ჰეტერი ქალდეას ქალებიც არიან და თვით ევაც კი ივერიელ ქალად წარმოუდგენია.

ლექსში ღრმად იგრძნობა სამშობლოს გაურკვეველი მომავლით განცდილი ტკივილი და იღუმალი განწყობა იქმნება საქართველოს მძიმე წარსულის წარმოსახვისას. ლექსი ემოციებით მდიდარი და მხატვრულად სრულყოფილია, იგი პოეტის ერთ-ერთი საყვარელი ლექსი ყოფილა, მეტიც, თავად ამ ლექსს „ქართული პოეზიის მეფის ტიტულის მოსაპოვებლად დანერვილ დისერტაციას“ უწოდებდა.¹

საბჭოთა ხელისუფლებისთვის წარსულის განდიდება და ერის ასეთი ღრმა ფესვების წარმოჩენა, პატრიოტიზმისა და ქართული მიწის სიყვარული, როგორც აღვნიშნეთ, მიუღებელი იყო. მხატვრულ პოეზიაში ქართული გენეტიკის ხსენებაც კი შესაძლოა, დასმენის საბაბი გამხდარიყო. ამის პარალელურად, პოეტის შემოქმედება საინტერესოდ გარდაიქმნება - ქალდეას კონცეფცია საბჭოთა დროის ლექსში „...ნუ გაიკვირვებ“, რომელიც 1926 წლის ივნისშია დანერვილი და მორგებულია საბჭოურ მოთხოვნებს:

- წარსულის „შეცდომების“ აღიარება;
- ახალი, საბჭოური შემართების წარმოჩენა;

სტრიქონებში უარყოფს წარსულს, დადაიზმის მოგონება ტანჯავს ჰვკრის და ძველ ლექსებს სისხლით დანერვილს უწოდებს.

¹ თ. პაიჭაძე. მოდერნიზმი და ქართული ლიტერატურა. თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2018. გვ. 189.

სიკვდილმისჯილთა უკანასკნელი ამოსუნთქვის ადგილად წარმოუდგენია ქალდეაც, რომლის ცაყ დღემდე დასტირის:

„ემათოტივით იღვა ქალდეა,
ეს ცა აქამდე თავზე დამტირის“.¹

„ჩამომავალი ხანა - ციდან მიწისაკენ“- ასე უწოდებს პოეტის შემოქმედების 1925-1927 წლებს თამარ ჰაიჭაძე. ამ პერიოდის ლექსები მრავალმხრივობითა და დახვეწილობით გამოირჩევა; ახლის ძიება ან მცდელობა არსად გვხვდება. ჭარბად შემოდის სიმბოლიზმის ნაცვლად რეალიზმი;²

ხმამალაღი მხარდაჭერის მიუხედავად, ხელისუფლება მას და მის მეგობრებს (პაოლო იაშვილი, მიხელი ჯავახიშვილი, ნიკოლოზ მიწიშვილი და სხვები), მაინც საბჭოთა იდეოლოგიის მტრებად და სოციალიზმის ხორცმეტებად თვლიდა.³

ამრიგად, ახალგაზრდა პოეტს არაერთხელ უგრძენია წარსულის მონატრება და ეს გრძნობები ასაზრდოებდნენ პოეტურ სტრიქონებს. ანალიზთან ერთად, განხილულია ლექსებში გამოვლენილი პოეტის წარმოსახვა და მისწრაფებები, სადაც მისი ფანტაზია ქალდეაზე შორსაც კი მიდის, იქამდე, რომლის სახელიც წარსულს არ შემოუნახავს და ტიციან ტაბიძეც უფრო შორ გზას უწოდებს, ვიდრე ქალდეაა.

¹ ტ. ტაბიძე. რჩეული. თბილისი: სახელმწიფო გამომცემლობა. 1960. გვ. 128.

² იხ. თ. ჰაიჭაძე. მოდერნიზმი და ქართული ლიტერატურა. თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2018. გვ. 194.

³ იხ. იქვე: გვ. 194.

თავი 3. ქართველთა უძველესი წარმოშობის გამოძახილი ანა კალანდაძის შემოქმედებაში

§.1. ქართველთა წარმოშობის შესახებ არსებული თეორიების გავლენა ანა კალანდაძის ლირიკულ პოეზიაზე

პავლე ინგოროყვა იმ მეცნიერთა რიგს მიეკუთვნება, რომელთა კვლევა-ძიება და აღმოჩენები საბჭოთა ხელისუფლების მიზნების განხორციელებას ხელს უშლიდა. იდეოლოგია, რასაც მაშინდელი ხელისუფლება ქმნიდა და ავრცელებდა, ეფუძნებოდა წარსულისადმი სრულ ნიჰილისტურ დამოკიდებულებას.

ის იყო მცირეთაგან ერთ-ერთი, ვინც არ შეუშინდა ხელისუფლების ტერორს და ბოლომდე დარჩა საკუთარი პრინციპებისა და მეცნიერული დასკვნების ერთგული.¹

აღმოჩენილი ნივთიერი მტკიცებულებების მეცნიერულ-თეორიული დასაბუთება კი ხელისუფლებისთვის საფრთხეს წარმოადგენდა. პავლე ინგოროყვას აღმოჩენა, რომელიც აუცილებლად ძლიერ

¹ იხ. ლაბაძე მ. პავლე ინგოროყვა და ხეთური სამყარო. ლინგვისტური რომანი, უარგონებზე მეტსახელებზე, ტოპონიმიკასა და ხეთურ სამყაროზე. თბილისი. ჩვენი მწერლობა. 2020. გვ. 30.

შთაბეჭდილებას მოახდენდა საზოგადოებაზე, გასაჯაროების ნაცვლად თაროზე შემოიღო და დღის სინათლეს წლების განმავლობაში ელოდა. როსტომ ჩხეიძე დანანებით იხსენებს აღმოჩენის მნიშვნელობასა და სენსაციურობას, თუმცა არც უკვირს, რადგან სახელმწიფოებრიობადაკარგული ქვეყნისთვის ეს ჩვეულებრივი მოვლენა იყო.¹

დღეს, მეცნიერები მარიამ ნინიძე და ლადო ჭელიძე შეისწავლიან პავლე ინგოროყვას თეორიებს, რომლებიც უკავშირდებიან მცხეთა-არმაზის არქეოლოგიური გათხრების შედეგად ნაპოვნ I საუკუნის ვერცხლის ლანგარსა და სტელაზე აღმოჩენილი ნიშნების/ასოების თეორიულ გაშიფვრას. ნივთებზე აღმოჩენილი ასო-ნიშნები ადასტურებენ ქართული ანბანის ქრისტიანობამდელი წარმოშობის თეორიას.²

მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ მცხეთა-არმაზის ტერიტორიაზე გათხრები ილია ჭავჭავაძის თაოსნობით დაწყებულა და სულ ახლოს ყოფილან აღნიშნული ნივთების აღმოჩენასთან. პავლე ინგოროყვა, გამუდმებით ადევნებდა თვალს არქეოლოგიურ წინსვლებს და ყოველთვის იქ ჩნდებოდა, სადაც ახალი ისტორიული მასალა ან მნიშვნელოვანი არქეოლოგიური აღმოჩენა ეგულებოდა. 1940 წელს აღმოჩენილ სტელასა და ლანგარზე, ერთი წლის შემდეგ, პალეოგრაფიულ აღმოჩენებზე დაყრდნობითა და სილრმისეული წყაროთმცოდნეობის საფუძველზე, უკვე დაბეჭდვით ამბობდა, რომ სტელაზე ლიგატურები ქართული ასომთავრულით იყო შესრულებული და მიეკუთვნებოდა ახალი წელთაღრიცხვის I-II საუკუნეებს.³

¹ ქართული დამწერლობის ძეგლები. პავლე ინგოროყვა. რედაქტორი ჩხეიძე რ. თბილისი: ჩვენი მწერლობა 2015. გვ. 7.

² იხ. ქართული დამწერლობის ძეგლები. პავლე ინგოროყვა. რედაქტორი ჩხეიძე რ. თბილისი: ჩვენი მწერლობა 2015. გვ. 6.

³ იხ. იქვე: გვ. 43.

მარიამ ნინიძე და ვლადიმერ ჭელიძე, პავლე ინგოროყვას ამ თეორიას ეთანხმებიან და ახალი არგუმენტით ამყარებენ: მცხეთა-მთიანეთის ტერიტორიაზე ნაპოვნ საგნებზე გამოსახული 7 ასო ნიშანი, რომელიც არ ემთხვევა არც ერთ იმ დროისთვის, საქართველოში გავრცელებულ უცხოური ენის ასო-ნიშნებს და ამასთან, ისინი შეესატყვისებიან: „ფლავიოს დადეს, ბერსუმ პიტიახშისა და პიტიახშ ჭარგასის ქართულ მონოგრამებს“¹. ცხადი ხდება, რომ მოცემული ერთეულები საკუთრივ ქართულია. აღნიშნული ფაქტი ადასტურებს პავლე ინგოროყვას მოსაზრებას, რომელიც ეყრდნობა პალეოგრაფიულ დასკვნებსა და ლოგიკურ მსჯელობებს, ქრისტიანობამდელი ქართული დამწერლობის არსებობის შესახებ, ჯერ კიდევ, ჩვენი წელთაღრიცხვით I საუკუნეში.²

აკადემიკოსი გიორგი წერეთელი ეთანხმება და ავითარებს ქართული დამწერლობის ქრისტიანობამდელ არსებობის აზრს; უცილობელ ფაქტად მიაჩნია, რომ I-II საუკუნეებში, „არმაზული“ დამწერლობის პარალელურად, არსებობდა ქართული ანბანური დამწერლობა.³

რამაზ პატარიძე ივანე ჯავახიშვილის ქართული დამწერლობის კვლევის გზას მიუყვება და წიგნში „ქართული ასომთავრული“ პირდაპირ ციტირებას აკეთებს პავლე ინგოროყვას დასკვნისა, სადაც ძველი ქართული კალენდრის კვლევის საფუძველზე ასკვნის დასაბამს ქართული ნაციონალური წელთაღრიცხვისა, მას ათარიღებს 284 წელით ჩვენს ერამდე.⁴ რამაზ პატარიძე ამ და სხვა მოსაზრებებზე დაყრდნობით მიდის იმ დასკვნამდე, რომ ქართული ანბანური დამწერლობა უნდა

¹ ქართული დამწერლობის ძეგლები. პავლე ინგოროყვა. რედაქტორი ჩხეიძე რ. თბილისი: ჩვენი მწერლობა 2015. გვ. 60.

² იხ. ქართული დამწერლობის ძეგლები. პავლე ინგოროყვა. რედაქტორი ჩხეიძე რ. თბილისი: ჩვენი მწერლობა 2015. გვ. 97.

³ იხ. იქვე: გვ. 92.

⁴ იხ. რ. პატარიძე. ქართული ასომთავრული. თბილისი: ნაკადული. 1980. გვ. 73.

შექმნილიყო, არა უადრეს ძვ. წ. 403 წლისა და არა უგვიანეს ძვ. წ. 284 წლისა, როდესაც ქართული ასომთავრული დამწერლობა აღიარებულია სახელმწიფო დამწერლობად. ამრიგად, ქართული ანბანური დამწერლობის ჩამოყალიბების პერიოდი, სავარაუდოდ, 119 წელს მოიცავს.¹

პავლე ინგოროყვას კვლევის შედეგებს გამოეხმაურა აკაკი ბაქრაძეც. იგი იზიარებს არმაზის წარწერების შესახებ დასკვნას, აღიარებს მის მნიშვნელობას და სინანულს გამოთქვამს სენსაციური ამბის სათანადო დაუფასებლობის გამო.²

დღეს ფაქტი, რომ პავლე ინგოროყვა მართლაც გამოგნებელ სენსაციურ აღმოჩენამდე მივიდა, ცხადია. მეცნიერის კვლევები დღემდე ბოლომდე შეუსწავლელი და გამოუქვეყნებელია; ნინო დეკანოიძის შეფასებით, თუ ვინმე მართლაც იბრძოდა დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს შექმნისთვის და შესაფერის იდეურ წინაპირობებსაც მიაკვლია, ეს პავლე ინგოროყვა იყო.³

ნაშრომის დაუფასებლობისა და მისი გაქრობის მცდელობის მიუხედავად, პავლე ინგოროყვას შრომას ღირებულება არ დაუკარგავს და საინტერესოდ მოიცავს ხეთური ეპოქიდან - პავლე ინგოროყვას თანამედროვე პერიოდამდე დროს.⁴

მეოცე საუკუნის გამორჩეული ქართველი პოეტის, ანა კალანდაძის მოღვაწეობის დასაწყისში, ქართველი ერის პირველსაცხოვრისის შესახებ გავრცელებული არაერთი თეორიის გამოძახილმა დაიმკვიდრა ადგილი. მეცნიერთა ახალ აღმოჩენებსა და ლოგიკურ დასკვნებს

¹ იხ. იქვე: გვ. 78.

² იხ. ქართული დამწერლობის ძეგლები. პავლე ინგოროყვა. რედაქტორი ჩხეიძე რ. თბილისი: ჩვენი მწერლობა 2015. გვ. 44.

³ იხ. ქართული დამწერლობის ძეგლები. პავლე ინგოროყვა. რედაქტორი ჩხეიძე რ. თბილისი: ჩვენი მწერლობა 2015. გვ. 70.

⁴ იხ. იქვე: გვ. 70.

თვალმიდევნებელი პოეტი, მოგონებებით სავსე წერილში იხსენებს პავლე ინგოროყვასთან ერთ-ერთ შეხვედრას.

ანა კალანდაძისთვის უცხო რომ არ იყო ყოველგვარი სიახლე, ამის დასტურად ეს წერილიც კმარა. წერილიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რაოდენ გულღია დამოკიდებულება ჰქონდა მწერლისადმი პავლე ინგოროყვას. მათი საუბარი ეხება ხეთურ სამყაროს, ხეთური კულტურის გავლენას ბერძნულ სამყაროზე. პავლე ინგოროყვა დაბეჭდვით უხსნის ანა კალანდაძეს ხეთების განსახლების ადგილს, რომელიც დღევანდელი ტრაპიზონის ტერიტორიაა და ეს ის არიან-ქართლია, საიდანაც წმინდა ნინო იყო წარმოშობით (კაბადოკია). ამრიგად, „ნინო ქართლიდან ქართლში მოვიდაო“- ამბობს მეცნიერი; რაც მთავარია, მის მსჯელობას ისეთი ისტორიკოსის ცნობები ამყარებენ, როგორცაა იოსებ ფლავიუსი.¹

პავლე ინგოროყვამ ხეთური იეროგლიფები ქართული ანბანის დახმარებით გაშიფრა. ამრიგად, მეცნიერი თვლიდა, რომ ხეთური სამყარო არა ქართველთა მონათესავე ერთი იყო, არამედ ქართველთა წინაპარი ერთი. მისი ნაშრომი „ხეთურ - ქართველური მსოფლიო, ხეთური იეროგლიფური დამწერლობადა ხეთურ ქართველური (თობალ-მესხური) ენა“, მიუხედავად იმისა, რომ დღემდე გამოუქვეყნებელია, როსტომ ჩხეიძეს მიაჩნია, რომ მაინც ჰპოვა გამოცხადებული ანა კალანდაძის შემოქმედებაში და 1945 წელს დაწერილი სტრიქონები: „და ჩვენ ხეთებმა, ჩვენ ხეთებმა, თაყვანი გეცით...“², ამ ფაქტს ადასტურებს. „ჩვენ ხეთებმაო“- ამ სიტყვების გამეორებით როსტომ ჩხეიძე ხაზს უსვამს პოეტი ქალის უმთავრეს სათქმელს.³

¹ იხ. ა. კალანდაძე თარგმანები პროზაული ნაწერები. ტომი I. თბილისი: საქართველო. 1996. გვ. 537.

² ა. კალანდაძე. რჩეული. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1976. გვ. 213.

³ რ. ჩხეიძე. ქალღმერთის მონატრება, თბილისი: ლომისი. 2002. გვ. 40.

1961 წელს დაწერილ ლექსში - „უფლისციხის ქვაბებში მოვლემარე ფუტკარს“, პოეტი ლირიკულ გმირად გარდაქმნის ფუტკარს, რომელსაც დავინწყებია ყველა ღმერთი და აღარც ხეთებზე გაბუტულ ქალღმერთს ეძებს. ქართლის მინებზე ამ მრავალსაუკუნოვანი ყოფნის შემდეგ, ურჩევს ჩქარა მოძებნოს კერპი ქალღმერთი და მოუწოდებს: „დაბრუნდი ხეთას, დაბრუნდი ხატუს!“¹ მწერლის სწრაფვა ფესვებისაკენ, წარსულში დაბრუნების სურვილი, თუ მხოლოდ წარსულის ჭვრეტა, კარგად ჩანს ამ სტრიქონებში.

ზვიად გამსახურდიას თეორია, რომ ეს წინარე ბერძნული ტომი საქართველოში დასახამიდან დამკვიდრდნენ, ანა კალანდაძის შემოქმედებაში პოეტურ სტრიქონებად იქცევა. 1946 წელს დაწერილ უსათაურო ლექსში, ავტორი რიტორიკულად სვამს კითხვებს იმის შესახებ, თუ საიდან მოვიდნენ და როდიდან დამკვიდრდნენ პელაზგები საქართველოში.²

ანა კალანდაძის შემოქმედებაში სხვა თეორიების გამოძახილც უხვადაა. მაგალითად, თუბალური ტომების მიგრაციის სრული სურათია აღწერილი ლექსში „და მზეც რვალისა“³. პოეტი აქ პირდაპირ მიმართავს ქართველ ერს- „შენ თუბალი ხარ“, ახსენებს, თუ როგორი შორი გზა გამოიარეს კავკასიაში დასახლებამდე და თან მოიტანეს რკინის გამოჭედვის ცოდნა.

უსათაურო ლექსში პოეტი ზღაპრული სემირამიდას ბალების გაქრობას აღარებს „ქართის“ სამეფოს გაქრობას:

„ჰა...განიბნია ესე სამეფოც,

მიმოქროლებას გაჰყვა ქართასა.“⁴

¹ ა. კალანდაძე. რჩეული. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1976. გვ. 126.

² იქვე: გვ. 239.

³ ა. კალანდაძე. რჩეული. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1976. გვ. 214

⁴ იქვე: გვ. 202.

პოეტი სინანულით იხსენებს სწრაფ ეტლებსა და
„მრავალსაზღაპრო“ სემირამიდას.

ტიციან ტაბიძის ქალდეური აჩრდილიც გამოჩნდება ანა
კალანდაძის სტრიქონებს შორის. 1945 წელს დაწერილ ლექსში „ო ეს
ჭადარი“, შეუპოვარი და ცამდე ასული ჭადარი ღუმს, „როგორც ტაო და
ქალდე“.

იმავე წელს, წერს:

„სასაფლაოზე ქარი დაძრწის სავსე კაემნით...“

ღუმს სასაფლაო ქვის ძეგლებით;

ვით ძველი ქალდე...“¹

როსტომ ჩხეიძეს დროის უსასრულო რბოლის გამომხატველად
მიაჩნია ღრუბელთა დინება, რომელსაც ანა კალანდაძე
სახელმწიფოების გაქრობას უპირისპირებს. პოეტის გულისყური
„ურარტუს ქვაბებსა“ და მიდიამდეც მიდის, არც აქ ჩერდება და
რიტორიკულ კითხვას უსვამს მკითხველს

„მათ გადაიარეს ცა პირამიდების,

ხეთა და მიდია...“

ზრაპრული ურარტუ, ქართული მინდვრები,

კვლავ საით მიდიან?“²

პოეტის თემატა მდინარე უფრო შორსაც მიდიოდა, მაგრამ ეს
უტოპიური და დასაბუთებას მოკლებული თეორიები მხოლოდ მისი
პოეტური სტრიქონების სამშვენისად რჩება. ლექსთა ამოსავალი
არქეტიპები პოეტისთვის არამართო ისტორიული ცოდნის
გამომხატველია, არამედ ღრმად აქვს გაცნობიერებული მისი
მნიშვნელობა და ღირებულება. თამაზ ჩხენკელის შეფასებით კი, ანა
კალანდაძე ცოცხალად გრძნობს ამ ცოდნას. ურარტუ, ქალდე, ხეთა და

¹ იქვე: გვ. 184.

² ა. კალანდაძე. რჩეული. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1976. გვ. 89.

მიღია მისთვის გამხდარა საიდუმლოებით მოცული სიმბოლოები; სტრიქონებში ისტორიის გაცოცხლებით, პოეტი საკუთარ ინტიმურ განცდებს გვაზიარებს, მკითხველში კი ქვეცნობიერად აღვივებს და განამტკიცებს ქართველთა შორეული ისტორიის განცდას.¹

საცნაურია, რომ წარსულით შეპყრობილი პეოტისთვის პავლე ინგოროყვას აღმოჩენა შემოქმედების ერთ-ერთ ქარგად იქცა. გარდა ამისა ქართველთა წარმოშობასთან დაკავშირებული სხვა პიპოთეზები შემოქმედებით ბრძმედში გაატარა და თავისებურად გადმოსცა არაერთ ლექსში. ანა კალანდაძის ლირიკული პოეზია დროსა და სივრცეში მოგზაურობის საშუალებას იძლევა და განუმეორებელ შთანეჭდილებებს ტოვებს მკითხველში.

გ. 2. ანა კალანდაძე - მზის თაყვანისმცემელი ქურუმი

კაცობრიობის გაჩენისთანავე ჩაისახა რწმენა უხილავი ძალებისა, რომლებიც გავლენას ახდენდნენ ადამიანთა ცხოვრების წესზე. ბუნების ძალები წარმოადგენდნენ პირველი ხალხების თაყვანისცემის ობიექტს და მათ შორის მზე ერთ-ერთი პირველი გაღმერთებული ციური სხეული იყო. მზის და მთვარის თაყვანისცემა წარმართულ პერიოდს მოიცავს მთელი კაცობრიობისა. მათ შორის ჩვენი წინაპრებიც მზეს, მოგვიანებით კი მზეს და მთვარეს ერთად ეთაყვანებოდნენ.

ანა კალანდაძის შემოქმედებაში ერთი შეხედვით მზისადმი სიყვარული და პატივისცემა ამოიკითხება, მაგრამ პოეტის შემოქმედებაში ციურ მნათობს გაცილებით დიდი ადგილი უკავია - მზე

¹ იხ. რ. ჩხეიძე. ქალღმერთა მონატრება, თბილისი: ლომისი. 2002. გვ. 41.

გალმრთობისკენ მიჰყავს, თავად კი მის თაყვანისმცემელ „ქურუმქალად“ წარმოგვიდგება.¹

როინ ჭიკაძე, ანა კალანდაძის შემოქმედების გაანალიზების შემდეგ, ლექსებს მზის საგალობლად მიიჩნევს. მის პოეზიაში ნათლად ჩანს თაყვანისცემა მზისადმი. მზის კულტი პოეტის მსოფლმხედველობაზე ახდენს გავლენას; ანა კალანდაძისთვის მითიური და მისტიური მოვლენები გაიგივებულია ასტრალურ მოვლენებთან. სწორედ ამიტომ, პოეტის შემოქმედებაში ხშიანობს ისეთი სტრიქონები, რომლებიც წარსულს ეტრფიან და მზის განდიდებას უკავშირდებიან.²

ანა კალანდაძის ლირიკული პერსონაჟი აღმერთებს მზეს და უნთებს მას ცეცხლს, მეტიც, მსხვერპლსაც კი სწირავს, რაც პირდაპირი გამოვლენაა მზისადმი თაყვანისცემისა. როსტომ ჩხეიძე, პოეტის წარმართული მრწამსის დასადასტურებლად, კიდევ ერთ ლექსს იმონმებს:

„მუხლებს მოვიყრი ნაწარმართევი
(რალაც უნებურ იღვიძებს ჩემში),
როს ავა ცაზე მზის აღმართების
და მზის ოქროსფერ, დიდ სალოცავში
კოცონს დააგზნებს ქურუმი ცისა.“³

ლირიკული გმირი კაცობრიობის სანყისებში მოგზაურობს, მიაშურებს ურარტუს გამოქვაბულებს, რომელთა სიღრმეშიც ყინული წვეთავს. გამოქვაბულის სიღრმიდან წამოსული ეს ხმა ძლიერი შიშის

¹ იხ. რ. ჩხეიძე. მზისმსახურება ქურუმქალური. საგურამო. 2019. №16. გვ. 30.

² იხ. რ. ჭიკაძე. ანა კალანდაძის პოეზია - მზის საგალობელი. ოლე. 2015. №1 (24).
ელექტრონული ვერსია. გვ. 50.

http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/146449/1/Ole_2015_N1.pdf >

³ რ. ჭიკაძე. ანა კალანდაძის პოეზია - მზის საგალობელი. ოლე. 2015. №1 (24).

ელექტრონული ვერსია. http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/146449/1/Ole_2015_N1.pdf >
გვ. 50.

გრძნობას იწვევს პირველყოფილ ადამიანში, რომელიც საფრთხეს ელოდება გარედან და არა იქ, სადაც თავს დაცულად გრძნობს.¹

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ პოეტი ლექსებს უძღვნის იმ უძველეს ქვეყნებს, რომლებიც მზეს ეთაყვანებოდნენ (ხეთა, მიდია, ეგვიპტე, ურარტუ, ქალდეა). ანა კალანდაძეს ქართული წარმართული პერიოდიდან შემორჩენილი ხალხური ზეპირსიტყვიერებიდანაც არაერთი ფრაზა აქვს აღებული (მზის გული, მზე იცინის). მზე სულიერების საწყისადაც კი წარმოგვიდგება, მზე ბედნიერების სიმბოლო, მზე სიცოცხლის, მზე სიხარულის, მზე წყვდიადის გამანადგურებელი, მზე დიდებული, მცხუნვარე, გვირგვინოსანი, ცხრათვალა, სხივმიმკვდარი და კიდევ მრავლის მომცველია პოეტის მზე. მზე ხან მისალმების, ხანაც ალერსის ობიექტია, ამიტომაც იგრძნობა მოკრძალებული გრძნობები მზისადმი. მიუხედავად წარმართული საწყისებისა მზე მნიშვნელოვანი ქრისტიანული სიმბოლოცაა და ქართულ პოეზიაში ქრისტეც არაერთგან იწოდება მზედ. მზის მეტაფორული სახეების სიუხვე ანა კალანდაძის შემოქმედებაში კიდევ ერთი დასტურია მზისადმი მღალადებელი პოეტის გრძნობების წარმოჩენისა.²

როსტომ ჩხეიძე, თამაზ ჩხენკელის ნარკვევებზე დაყრდნობით, ანა კალანდაძის ლექსების ზოგადი დახასიათებისას გვაცნობს იმ განცდებსა და პეიზაჟებს, რომლებიც მკითხველს ესახება პოეტური სტრიქონების კითხვისას: „დიდი მყუდროებითა და ღუმილით დაყურსული მზიური და ღამეული პანორამები - ვარსკვლავებით დახუნძლული გულთამხილავი ცა, ნათელი მთვარის შუქით მოფენილი ველ-მინდვრები, შეღამებით ავსებული სივრცე, რომლის გულშიც, ყურს თუ დავუგდებდით, ცისა და ქვეყნის უცნაური მუსიკა ისმოდა, და სინათლითა და სიჩუმით

¹ იხ. იქვე: გვ. 50.

² იხ. გვ. 51-53.

დამუხტული არე, რომელიც „გულთამკოდავი“ იღუმალეებით დაყურსულიყო.“¹

სწორედ ასე გარდაიქმნება ანა კალანდაძის არაჩვეულებრივი პოეზია მზიურ ჰიმნად და მზის საგალობლად. პოეტის შემოქმედებაში, პირველყოფილი, უკვე გამქრალი რწმენა, პოულობს გზას წარსულის ლაბირინთიდან გამოსასვლელად და უცილობლად უკავშირდება ჩვენი ქვეყნის მიმქრალ ისტორიას ურარტუდან, ხეთიდან, ქალდეადან თუ კიდევ უფრო შორს - დასაბამიდან დაწყებულს.

§.3. როსტომ ჩხეიძის „ქალდეას მონატრების“ კვალდაკვალ, ანუ XXI საუკუნის ქალდეური ნოსტალგია

ქართული ლიტერატურის ისტორიაში არაერთხელ წამოჭრილა ზოგადქართული მონატრება, რომელსაც სხვადასხვა დროის ლიტერატურაში ქართისი, ქორთუ, კართუხი, XXI საუკუნეში კი - ქალდეას მონატრება ჰქვია.

როსტომ ჩხეიძე ქართული ხასიათის თავისებურების - მსხვერპლისუნარიანობის, იდეისთვის თუ მოყვასისათვის თავგანწირვის სანყისს, საისტორიო და ლიტერატურული მასალის მოშველიებით და კიდევ ერთხელ გადასინჯვით, ქართული მოდგმის უძველეს ფესვებში ეძებს. დასმულ კითხვებს: რატომ არ შეიძლება თუნდაც გაქცეულ მტერს ზურგი ვუჩვენოთ?.. რატომ უნდა სჯეროდეს ბრმად დავთ ულუს, რომ ქართველი მეომრები თავგანწირულ ბრძოლაში გაჰყვებიან ბოლომდე - „არ არის წესი ჩუენ ქართველთა, უკეთუ ვიხილოთ მტერი ჩუენ კერძო მომავალი, შეუბმელად ზურგი შემოვაქციოთ, დაღათუ იყოს

¹ რ. ჩხეიძე. მზისმსახურება ქერუმქალური. საგურამო. 2019. №16. გვ. 32.

სიკვდილი“¹... რატომ ამბობს სიცოცხლეზე უარს დიმიტრი? რატომ არ დაინანებს ქართველთა სისხლის დაღვრას? რა შეიძლება ვიფიქროთ? ის ეროვნული თვისებაა ყოველთვის პასუხი, რომელიც მკაფიოდ აღარ ჩანს დავით აღამაშენებლის დროს და თვით დავითი აღადგენს მას დიდგორის ბრძოლის დაწყებამდე წარმოთქმულ სიტყვებში. დააბრუნებს ხსოვნას რაღაც ძველის, განსაკუთრებულის - ტრადიციის, წესის, ეროვნული თვითმყოფადობის აუცილებელ ნიშანს....და მაინც, რა უნდა იყოს ის ძველი და ის განსაკუთრებული?! ღრმად ქალდეური ფესვებისკენ ჩასვლა თუ დაგვაახლოებს პასუხებს.²

მსოფლიო ცივილიზაციის განვითარებაში, ქართული მოდემის დამსახურების ჩვენებას ცდილობდა რევამ გაბაშვილი. მას სჯეროდა, რომ ენა, რომელზეც ბაბილონის გოდოლის მშენებლები საუბრობდნენ იყო ქართული. ქართული ენის დახმარების გარეშე შეუძლებელია შუმერულ-ქალდეური და აქადური ენების შესწავლა.

არგუმენტად ევფრატის საწყისი სახელი მოჰყავს. შუმერულად „ბარა-ნუნ“, ხოლო ბაბილონურად „პურატუ“, რომლებიც პირდაპირ მოგვაგონებს „პურ-ღვინოს“ (ნუნუას). მოსაზრებას ევფრატის ალაზნად წოდებითაც ამყარებს, იმ ადგილებში მცხოვრები ალ-აზ-ონების გამო. მცირე აზიაში გავრცელებული მკის დღესასწაულის სახელწოდება „პურალა“ და რთველისა „ვაზუნას“ რევამ გაბაშვილისთვის ამასვე მოწმობს. განსაკუთრებით საინტერესოა ბაბილონის მხარის სახელწოდება „ქარდუხი“, რომელიც ამ მხარეს ეწოდებოდა აშურ ბაბილონის იმპერიის შექმნამდე. თვითონ სიტყვა „ბაბილონი“ შინაარსითა და გრამატიკული ფორმით, ესადაგებოდა ძველ

¹ რ. ჩხეიძე. ქალდეას მონატრება, თბილისი: ლომისი. 2002. ჩხეიძე რ. ქალდეას მონატრება, თბილისი: ლომისი. 2002. გვ. 13.

² იხ. იქვე: გვ. 13-25.

ქართულში ყვავილის მრავლობით ფორმას „ბაბილოს“. თვითონ „ბაბილო“ ნიშნავდა ბალ-ვენახს.

საქართველოსა და ქალდეას ქვეყანაში აღმოჩენილ საფლავებს შორისაც მნიშვნელოვანი მსგავსებებია. საერთოა მთლიანი დაკრძალვის წესი. ერთიდაიგივე სიმბოლური დანიშნულება უნდა ჰქონოდა მიცვალებულისთვის ჩატანებულ ნივთებსაც.

ქალაქის დაგეგმარებაც ერთმანეთთან თანხვედრაშია. ორივეგან გვხვდება წყლის სადინარი არხები. წყლის მრავალდანიშნულებიანი გამოყენებისთვის მოწყობილი სხვადასხვა სისტემები. მსგავსია სოციალური წყობა და მეურნეობის განვითარების საფეხურები.

რვა სართულადაა ნაშენი ვარძიის გამოქვაბულის ტაძრები, როგორც ქალდეველთა „ცაგორები“. ამ და სხვა მსგავსება - დამთხვევების გამო რწმენა ცოდნად გარდაიქმნება და სამწერლობო ფანტაზიასაც დაუსრულებლად ასაზრდოვებს.¹

ყოველი გარემოება თვალუწვდენელ პერსპექტივებს გვიხსნის თუ საიდან მოდიან ქალდეველები. საბოლოო დასკვნა კი არქეოლოგთა და ენათმეცნიერთა კვლევა-ძიებისა და მიგნებათა ხელშია. მიუხედავად არცთუ მყარი მტკიცებისა, არაერთი მწერალი შემოქმედი ყოფილა დატყვევებული ქალდეური ნოსტალგიით. 1900-იანი წლების დასაწყისში, ფეხს იდგამდა ისტორიული კონცეფციები ქართველთა წარმოშობის შესახებ, მათ შორის ქალდეური წარმოშობისა. როსტომ ჩხეიძის მონოგრაფია „ქალდეას მონატრება“ ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყვება მწერალთა შემოქმედების ქალდეური არქეტაიპის მქონე ნარატივებს.

ტიციან ტაბიძის შემოქმედებაში თავისებური ხორცშესხმა ჰპოვა ქალდეამ. 1916 წელს იგი წერს ლექსს „ნიგნიდან „ქალდეას მონატრება“ და სათავეს უდებს „ქალდეას ციკლს“. პოეტი იზიარებს კაცობრიობის

¹ იხ. ჩხეიძე რ. რევან გაბაშვილის ცხოვრების ქრონიკა. ვითა სიზმარი ღამისა. თბილისი: ჩვენი მწერლობა. 2013.

ცივილიზაციის დასაწყისში აყვავებულ ქალღეური კულტურის გაქრობით არსებულ ტრაგედიას, მეორეს მხრივ, პოეტურად ეხმაურება მეცნიერულ ჰიპოთეზას ქალღეველთა ჩვენს წინაპარ ტომებად მიჩნევის შესახებ. მოცემული ფაქტი კი ლექსების აღნიშნულ ციკლს ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთებითაც ავსებს.¹

სათაური „წიგნიდან „ქალღეას მონატრება“ გვამცნობს, რომ პოეტს სურდა ამ სახელწოდებით რამდენიმე ლექსი კი არა მთელი წიგნი შეექმნა, სამწუხაროდ, მხოლოდ ჩანაფიქრი შემოგვრჩა, თუმცა ის პოეტის მისწრაფებათა ასახსნელად საკმარისია.²

ტიციან ტაბიძე კარგად ხვდებოდა თუ რატომ ეგმანებოდა ქალღეური ქალაქები და ცდილობდა უფრო შორსაც გადაეხედა:

„იყო ქალღეა და ბაბილონი,

იქნება უფრო შორი გზაც გვექონდა...“³

რატომ მაინცდამაინც ქალღეა? რიტორიკულ კითხვას როსტომ ჩხეიძე ივანე ჯავახიშვილის გამოკვლევებისა და ღრმა რწმენის საფუძველზე სცემს პასუხს. მხატვრულად გააზრებული მეცნიერ-ისტორიკოსის დასკვნაა, რომ ქართუ და კარდუხი ერთი შტოდან გამოსული ორი სხვადასხვა ტომია, ამ ტომთა სახელწოდებებში კი კვლავაც ხმიანდება ერთი და იმავე ქვეყნის სახელი, მაშასადამე ეს უნდა იყოს თავდაპირველი სამშობლო ამ ორი ტომისა.⁴

თავდაპირველი სამშობლოს ხსოვნა დღემდე შემოგვრჩა, ბარის კულტურასთან ნაკლებად ინტეგრირებულ მთიან მხარეში, კერძოდ

¹ იხ. რ. ჩხეიძე. ქალღეას მონატრება, თბილისი: ლომისი. 2002. ჩხეიძე რ. ქალღეას მონატრება, თბილისი: ლომისი. 2002. გვ. 26.

² იხ. იქვე. გვ. 27.

³ იქვე: გვ. 29.

⁴ იხ. იქვე. გვ. 28.

სვანეთში, დღესაც არის სოფელი „ჭალდე“ ანუ ხალდე. კარდე ანუ ქართუ კი ყველასთვის ცნობილი ქალდეას ქვეყანაა.¹

ძველი ქალდეა, რომელიც ხან ეშათოტად, ხან კი საბოლოო განსასვენებლად წარმოუდგება პოეტს, პოეზიის დაუშრეტელ წყაროდ გადაიქცევა და არაერთ პოეტურ ხილვას აქცევს ლექსის სტრიქონებად.²

გრიგოლ რობაქიძე ერთ-ერთია ქალდეათი გატაცებულ მგოსანთაგან. იგი ბურუსში დაედებდა ჩაძირულ ფესვებს. გრიგოლ რობაქიძე სამშობლოს ახლად აღმოჩენილ სანყის „კარდუს“ უწოდებს: „ყოველ ქართველში - რომელშიც ღვივის კიდევ ოდნავ მაინც, ცეცხლი კარდჰუს თესლისა - ყოველ ქართველში იღვიძებს საქართველო არა წილობით, არამედ მთლად იღვიძებს მთელი საქართველო, მთელი მისი ბედით“.³ კარდუს ცეცხლის ძალას, ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შემდეგ მოვლენებსაც უკავშირებს: მისი მკვლელობა თანდათან გადაიზრდება მსხვერპლში, რომელიც სჭირდებოდა ქართველ ერს გამოსაფხიზლებლად, მართლის ნათელსაყოფად. მსხვერპლის შემდეგ კი არცერთი ქართველი არ რჩება ერისგან შორს. სწორედ ამ დროს ხედავს წარმოსახვაში გრიგოლ რობაქიძე გამქრალი წარსულის აღდგენის სანყის.⁴

არც კოლაუ ნადირაძის მცირედი გადახვევა არ გამორჩენია როსტომ ჩხეიძეს. ტიციან ტაბიძისა და გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებით ნასაზრდოები პოეტი, გრიგოლ რობაქიძეს უძღვნის სონეტს:

¹ იხ. იქვე: გვ. 28.

² იხ. ტაბიძე ტ. რჩეული. თბილისი: სახელმწიფო გამომცემლობა. 1960 გვერდები

³ იხ. რ. ჩხეიძე. ქალდეას მონატრება, თბილისი: ლომისი. 2002. ჩხეიძე რ. ქალდეას მონატრება, თბილისი: ლომისი. 2002. გვ. 34.

⁴ იხ. იქვე: გვ. 35.

„შუადღის სიცხეში გაალებულს გისმენთ მზით დამთვრალს“¹...

აქ გაუღერებული მზე სხვა ართვერია თუ არა წინაპართა პირველი რწმენისა და თაყვანისცემის საგანი. გრიგოლ რობაქიძეც ამავე მზის ნიშანს - ხალს მკერდის შუაგულში, მიაკუთვნებს კარდუს შთამომავალთ.²

ანა კალანდაძის შემოქმედებაშიც ნელა მკვიდრდება ქალდეური მზე. მის წარმოსახვაში წინაპარ ტომებს ქალდეური ჩვენი მზე სწვავდათ:

„მათ ძლიერ სხეულთ სწვავდა ჩვენი მზე ქალდეური...“³

შარავანდედით მოსილი სახელწოდება ქალდეასი, სხვა ლექსებშიცაა გაუღერებული:

„სასათლაოზე ქარი დაძრნის სავსე კაეშნით...“

დუმს სასათლაო ქვის ძეგლებით, ვით ძველი ქალდე...“⁴

და იქვე:

„დუმს სასათლაო სევდიანი, ვით ძველი ქალდე,

გულში ინახავს კაეშანს ფარულს...“

კითხულობს მთვარე ქვის ძეგლებით

უძველეს ქართულს - ნუსხურს და მთვარულს...“⁵

ანა კალანდაძის შემოქმედების განხილვისას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, პოეტის ლირიკულ მეტყველებაში, არა მარტო ქალდეას ვხვდებით, არამედ ყველა თეორიის გამოძახილს, რომელიც აღმოცენდა ქართული მოდგმის ძიების კვალდაკვალ: ურარტუც, ხეთაც, მიდიაც და უფრო შორსაც.. პოეტმა იცის სადაა მისი ფესვები და გაცნობიერებულად, ცოცხლად გრძნობს ამას, მკითხველში კი

¹ იხ. იქვე: გვ. 36.

² იხ. რ. ჩხეიძე. ქალდეას მონატრება, თბილისი: ლომისი. 2002. ჩხეიძე რ. ქალდეას მონატრება, თბილისი: ლომისი. 2002. გვ. 36.

³ იხ. იქვე: გვ. 39.

⁴ იხ. იქვე: გვ. 39.

⁵ იხ. იქვე: გვ. 39.

ქვეყნობიერად აღვიძებს მიმქრალ განცდებს შორი წარსულისა, ნიჰილიზმის საპირისპიროდ.¹

ტარიელ ჭანტურიასაც მსგავსი მსოფლგანცდა დააწერინებს:

„ცა კი - ხეთური და ურარტული

რა უცნაურად არის ქართული.“²

როსტომ ჩხეიძისთვის ეს უბრალოდ სიტყვები როდია, ესაა სიტყვები, რომლებიც უშორესი წარსულისკენ გვახედებს და ქართველი ერის ისტორიის გრძნობას განამტკიცებენ.³

ამრიგად, მწერალთა შემოქმედებით ზმანებებში იშვიათი როდია ქალღეას ხატება. თხზავენ მითოსებს, ეყრდნობიან ჰიპოთეზებს, ინტუიციას და წარმოსახვას. მათ იმედს საქართველოში დღესაც არსებული „ჰალდუს ხეობა“ აძლევს. დღემდე არსებობს ხეთას ციხის ნაშთიც, რომელიც მგოსანთა შემოქმედებაში ქართული მოდგმის უძველეს ფესვებს უკავშირდება.⁴

ლეო ქიაჩელის „ხეთიანის საიდუმლოებამაც“ დაიმკვიდრა ადგილი ქართული ხასიათის დასაბამის საძიებლად დაწერილ მონოგრაფიაში.⁵

ვახუშტი ბაგრატიონიც მოიხსენიებს ხეთის ციხეს „საქართველოს გეოგრაფიაში“, ლეო ქიაჩელი კი თავისებურად გარდაქმნის და „ხეთიანის“ ციხეს უწოდებს, დასძენს, რომ ვახუშტი ბაგრატიონი ამ ციხეს უძველესად მოიხსენიებს სხვა ძველ ციხეებს შორისო.⁶ მხატვრულ ლიტერატურაში გამართლებულად მიიჩნევა ამგვარი ცვლილება და ვახუშტი ბაგრატიონისთვის ამ გამონაკონი ფაქტის მიწერაც. ეს მხოლოდ

¹ იხ. იქვე: გვ. 41.

² იხ. რ. ჩხეიძე. ქალღეას მონატრება, თბილისი: ლომისი. 2002. ჩხეიძე რ. ქალღეას მონატრება, თბილისი: ლომისი. 2002. გვ. 42.

³ იხ. იქვე: გვ. 42.

⁴ იხ. იქვე: გვ. 44.

⁵ იხ. იქვე: გვ. 44.

⁶ იხ. იქვე: გვ. 44.

ერთს ემსახურება - ქართველი ხალხი დაახლოვოს მივიწყებულ ფესვებთან.¹

პერსონაჟებზე დაკვირვების შემდეგ, როსტომ ჩხეიძე ასკვნის, რომ მწერალს პერსონაჟებიც საგანგებოდ ფანატიკოსი მკვლევარები შეურჩევია ციხის საიდუმლოს ამოსახსნელად. თავად როსტომ ჩხეიძესაც მიაჩნია, რომ ფანტასტიკური აზროვნების გარეშე წარმოუდგენელია წარსულის ასეთი შორეული ისტორიის მიგნება.²

პავლე ინგოროყვას მიერ ხეთური იეროგლიფების გაშიფვრის შედეგად გახმაურებული დასკვნების შემდეგ, ლეო ქიაჩელის მოთხრობა სრულიად სხვა სახეს იღებს; პირველი ვარიანტის სათაურს „ნატახტრის საიდუმლოს“, „ხეთიანის საიდუმლო“ ცვლის. სოფელ ხეთის სახელს კი ისე განაზოგადებს, რომ აშკარად იგრძნობა წარსულთან კავშირის მცდელობა. მოთხრობაში პერსონაჟის საშუალებით მთავარ სათქმელსაც გადმოგვცემს: „ამ მოვლენას არა მხოლოდ ეროვნული მნიშვნელობა აქვს, არამედ ზოგად კაცობრიულიც, ვინაიდან ჩვენი შორი წარსული - შეიძლება ეს სულ მალე დამტკიცდეს - არის იგივე წარსული კაცობრიობის იმ ნაწილისა, რომლის დროშა წინამძღვრობს დღევანდელ კულტურას“.³

ლეო ქიაჩელის მოთხრობის „ხეთიანის საიდუმლოების“ ერთ-ერთი პერსონაჟი, შალვა რამაძე, ქართველი ერის ისტორიას დროის ორ მონაკვეთად ყოფს. ქართული ტომების კავკასიაში დასახლებამდე ცხოვრება მიაჩნია პირველ პერიოდად. მეორე კი ამ ტომების ამიერკავკასიაში დასახლების პერიოდია დღემდე. მეორე პერიოდი სამეფოს დაარსებიდან იწყება და ჩვენთვის ცნობილი საქართველოს

¹ იხ. იქვე: გვ. 44-45.

² იხ. რ. ჩხეიძე. ქალდეას მონატრება, თბილისი: ლომისი. 2002. ჩხეიძე რ. ქალდეას მონატრება, თბილისი: ლომისი. 2002. გვ. 45.

³ იქვე: გვ. 47.

ისტორიაა დღევანდელ დღემდე. პირველი პერიოდი კი სახელწოდებასთან ერთად ბურუსშია გახვეული.¹

მონოგრაფიაში როსტომ ჩხეიძე საკუთარი ფიქრების ერთგვარ დასაბუთებასა და პარალელს გრძნობს შალვა რამაძესთან. მასაც ასევე აინტერესებს, რატომ გვაქვს ამდენ ერს შორის მხოლოდ ქართველ ერს ამბიციის, ვიყოთ პირველები და არაფრით ვჯერდებით მეორეხარისხოვან როლს კაცობრიობის ისტორიაში. თავადაც ღრმად სწამს ამის და ელოდება ქართველ ერში იმ მიმქრალი ენერჯის ამოხეთქვას, რომელიც ერთხელ უკვე ამოიფრქვა შოთა რუსთაველის სახით და ორ ზღვას შუა ვერ დატეული სივრცის გარღვევას და სამყაროში გაჭრას შეეცდება.²

როსტომ ჩხეიძისთვის მიმზიდველია შალვა რამაძის ფანტაზია, მისი მცდელობა ქართველი ერის დიდი წარსულის გაცოცხლებისა და იმ ნიჰილისტური დამოკიდებულების გაქრობისა, რომელსაც ნიკოლოზ მინიშვილი თუ მიხეილ ჯავახიშვილი ნერგავდა, პერსონაჟ თეიმურაზ ხევისთავის ასეთი ყოფისა და უუნარობის წარმოჩენით. თეიმურაზ ხევისთავი ხომ საკუთარი სამშობლოს, საკუთარი სახლის ხიზნად იქცა, მიუხედავად თავის განათლებისა და ნიჭიერებისა, სწორედ ბედის უკუღმართობამ აიძულა ეფიქრა „ერთი სული მხოლოდ ერთ მთლიან ერს აქვს, ქართველობა კი, როგორც ფსიქიური და ეროვნული ერთეული არ არსებობსო“³...

მიხეილ ჯავახიშვილის მიზანს მხოლოდ ერთი რამ წარმოადგენს - თანამემამულეებს აჩვენოს, სადამდე მივიდა ქართული ხასიათი, როგორ გარდაიქმნა და რად იქცა.⁴

¹ იხ. იქვე: გვ. 50.

² იხ. რ. ჩხეიძე. ქალღმერთი მონატრება, თბილისი: ლომისი. 2002. ჩხეიძე რ. ქალღმერთი მონატრება, თბილისი: ლომისი. 2002. გვ. 54.

³ იხ. იქვე: გვ. 59.

⁴ იხ. იქვე: გვ. 60.

მთაში სიახლე გვიან აღწევდა; სიახლესაც ძნელად ითვისებდა მთის უდრეკი ხალხი. ამიტომ ამბობდა ვაჟა-ფშაველა, რომ „საქართველოს გათავისუფლება აქედან - მთიდან უნდა დავიწყოთო, ჩვენ უნდა ვკრათ მუკლუგუნი ბარს, რომელსაც სძინავსო...“¹ ამ სიტყვებმა ვაჟა-ფშაველას თითქოსდა რევოლუციონერის სახელიც გაუთქვა, მაგრამ მას მხოლოდ საქართველოს ბედი ადარდებდა და შეუსვენებელივ ცდილობდა შემოქმედებით დაემტკიცებინა ქვეყნისადმი პატრიოტიზმი.²

დავით აღმაშენებლის მიერი გამოღვიძებული საქართველოს სახე სიმბოლოა ვაჟა-ფშაველას სიტყვები:

„როცა ომი გვაქვს ქართველ ჯარს,
ნათელი გვიძღვის ღამითა;
კაცი-რამ ლურჯ-ცხენიანი,
ამოღებულის ხმალითა.....
ეს ჩვენი ჩუმი მფარველი
ლაშარის ჯვარად ვსცანიოთა“.³

მემატთანეს ცნობით, დიდგორის ომის წინ გამოცხადებული წმინდა გიორგი, სწორედ ლექსში ხსენებული „ლაშარის ჯვარია“, ქართველთა ღრმა რწმენით, სწორედ მან მოუტანა გამარჯვება ურიცხვ მტერზე. ნათელია ვაჟა-ფშაველას დამოკიდებულება და ბრძოლის ხერხი საქართველოს დამოუკიდებლობისათვის.⁴

ვაჟა-ფშაველას ქალდეური სისხლი უდუღდა, მისი შემოქმედებაც წარსულის და აწმყოს ტანდემითაა შთაგონებული. სხვათაყ გამოგვყოლია ქალდეური სისხლი, ამიტომაცაა, რომ ვერ ვეგუებით

¹ იქვე: გვ. 91.

² იხ. იქვე: გვ. 91.

³ რ. ჩხეიძე. ქალდეას მონატრება, თბილისი: ლომისი. 2002. ჩხეიძე რ. ქალდეას მონატრება, თბილისი: ლომისი. 2002. გვ. 103.

⁴ იხ. იქვე: გვ. 103.

მეორეხარისხოვანი ერის ხვედრს- დაკნინებულს, დამცირებულს. ამიტომ მოველით როდის იფეთქებს წინაპართა ენერგია და მოგონება თავდაპირველი სამშობლოსი „და ვხვდებით.... თუ ქალდეა რად გვენატრება!..“¹

ამრიგად, მონოგრაფიაში, როსტომ ჩხეიძე ცდილობს ჩანვდეს ქართველთა მსხვერპლისუნარიანობისა და სიამაყის საწყისებს. სიღრმისეულად განიხილავს თითოეულ მწერალს, პოეტსა თუ პუბლიცისტს, რომელსაც ერთი სტრიქონი მაინც დაუნერია ქართულ ხასიათზე, მისი ამოხსნა ან ლიტერატურად გარდაქმნა უცდია. მწერალი ჩრდილად მიუყვება ქართულ ხასიათს, რომელიც დროის სიღრმეში ხშირად იკარგება და ამოსავალს დღესაც ელის.

¹ იქვე: გვ. 124.

დასკვნა

ნაშრომში განხილულია, გრიგოლ რობაქიძის, ტიციან ტაბიძის, ანა კალანდაძისა და როსტომ ჩხეიძის შემოქმედების ქართველი ერის წარმოშობის საკითხთან დაკავშირებული ცალკეული პერიპეტიები, ისტორიულ-პოლიტიკური მდგომარეობის ფონზე,

წარმოდგენილია და გაანალიზებულია, კონკრეტულად, ის ნაწარმოებები და პოეტური სტრიქონები, სადაც ისტორიულ წყაროებში ჩვენს მიერ გამოკვეთილი სიტყვები (ქალდეა, მიდია, ხეთა, ქართუ, კარდუ, ქალდე, კალდე...) ხშიანდებოდა. სისტემაში მოვაქციეთ და ერთი ამოსავალი ქარგის ქვეშ გავაერთიანეთ მწერალთა შემოქმედების ეს ნაწილები. მსჯელობის გასამყარებლად დავიხმარეთ, საისტორიო წყაროებთან ერთად, მკვლევართა და მეცნიერთა შეხედულებები განხილული მწერლების შესახებ.

ნაშრომი წარმოადგენს სამი თავისგან შემდგარ კვლევას, თითოეული თავი შეიცავს რამდენიმე ქვეთავს. პირველ თავში, ივანე ჯავახიშვილის ისტორიული ნარკვევის „ქართველი ერის ისტორიის“

დახმარებით, წარმოვადგინეთ ქართველთა სავარაუდო წარმოშობის ადგილი და გავშალეთ მსჯელობები, რომლებმაც ისტორიკოსი მიიყვანეს ლოგიკურ დასკვნებამდე. მისი ღრმა რწმენითა და ქართულ ენის სიტყვებზე დაკვირვებით, ასკვნის, რომ ქართველებს უძველეს დროში ქალდეაში უნდა ეცხოვრათ. მოცემულ მსჯელობას და დასკვნას წიგნის პირველ, 1908 წლის გამოცემაში ვხვდებით. მომდევნო წლის გამოცემებში საერთოდ აღარაა საუბარი ამ თემაზე. წიგნის მეხუთე, 1960 წლის გამოცემაში კი კვლავ ვხვდებით ქართველთა უძველესი ბინადრობის ადგილის შესახებ ინფორმაციას. რა იყო ამ წყვეტის მიზეზი, ეს მეორე ქვეთავის დახმარებით დავადგინეთ, სადაც პოლიტიკური ფონის მიმოხილვით, ხელისუფლების მიერ ინფორმაციის მიჩქმალვის, დამახინჯებისა და ტაბუირების მიზეზები ავეხსენით. მკაცრი ცენზურისა და რეპრესიული სადამსჯელო განაჩენის მიუხედავად, თითოეულმა აღმოჩენამ, თეორიამ და ლოგიკური მსჯელობით მიღებულმა დასკვნამ ლიტერატურაში მაინც თავისებური კვალი დატოვა; კვლევის ერთ-ერთ მიზანს სწორედ ამ ისტორიული მოვლენებისა და ლიტერატურის კავშირის მკითხველისთვის წარმოდგენა და გაცნობა იყო.

გრიგოლ რობაქიძის მოდერნისტული რომანის „გველის პერანგის“ კვლევისას კარგად ჩანს მწერლის დამოკიდებულება ქართველი ერის წარმოშობის საწყისის შესახებ, კვანძის გახსნას კი მკითხველი მიჰყავს დასკვნამდე, რომ ეროვნებით ქართველ არჩიბალდ მეკემს ქალდეური ფესვები აქვს, მაშასადამე ქართველთა უძველესი სამშობლო, ავტორის აზრით, ქალდეაა, საიდანაც კავკასიისკენ იწყებს მიგრაციას. არჩიბალდ მეკემიც, სამშობლომდე მისასვლელად, კავკასიის სამხრეთიდან იწყებს სვლას. სწორედ ასე გარდაქმნის ქართველი ერის კავკასიაში გადასახლების ისტორიას, არჩიბალდ მეკემის ცხოვრების გზად.

რომანის მთავარ გმირები გამოირჩევიან ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ნიუანსებით. ქართული რასისა და ხასიათის თავისებურებები მთლიანად ამ პერსონაჟებს აქვთ ხორცშესხმული, რითაც გრიგოლ რობაქიძე ერის განსაკუთრებულობას უსვამს ხაზს და ხასიათის ამ თვისებებს პირდაპირ ქალდეურ წარმოშობასთან აკავშირებს.

კვლევის მეორე ობიექტი ტიცთან ტაბიძეა. ახალგაზრდა პოეტის დაინტერესება წარსულით, ძალიან ღრმა აღმოჩნდა. მას განუზრახავს ქალდას თემისთვის მთელი წიგნის მიძღვნა, რაც სავარაუდოა ერთი ლექსის სათაურით „წიგნიდან „ქალდეას ქალაქები“. პოეტი ლექსებით თავის აზრებს, მისწრაფებებსა და ოცნებებს გადმოგვცემს, ერთ-ერთ ლექსში ნათელია, რომ საკუთარ ფესვებს მზის მსახურ ქურუმებს უკავშირებს.

მიუხედავად განუხორციელებელი ჩანაფიქრისა, „ქალდეური ციკლის“ ლექსებთან ერთად, იგივე არქეტეპის მქონე არაერთი ლექსი დაგვიტოვა, რომელთა უმეტესობის სტრიქონების ანალიზია წარმოდგენილი. ანალიზთან ერთად, განხილულია ლექსებში გამოვლენილი პოეტის წარმოსახვა და მისწრაფებები, სადაც მისი ფანტაზია ქალდეაზე შორსაც კი მიდის, იქამდე, რომლის სახელიც წარსულს არ შემოუნახავს და ტიცთან ტაბიძეც უფრო შორ გზას უწოდებს, ვიდრე ქალდეაა.

მესამე თავში გავისხენეთ პავლე ინგოროყვას აღმოჩენა, რომელიც თავის ღრობე თარობე შემოიღო საბჭოთა ორთოდოქსული ხელისუფლების მიერ და სრულიად მიიჩქმალა. სამწუხაროდ, ის დღემდე დაუფასებელია, უფრო ღრმა კვლევასა და დასაბუთებას ელოდება. პავლე ინგოროყვამ, ხეთური იეროგლიფების გაშიფვრა ქართული ანბანის მოშველიებით შეძლო. ამით მტკიცდებოდა ქართული ანბანის არსებობა ჯერ კიდევ ქრისტესობამდე პერიოდში, ჩვენი

წელთაღრიცხვით I საუკუნეში. ანა კალანდაძემ, თეორია, რომელიც პირველწყაროდან - პავლე ინგოროყვასგან მოისმინა, შემოქმედებით ბრძმედში გაატარა და თავისებურად გადმოსცა არაერთ ლექსში და ქართველთა მოდგმა ხეთას და მიდიას დაუკავშირა.

ანა კალანდაძე გამორჩეული პოეტია, არამართო ლექსთა წყობითა და პოეტური მანერით, არამედ ჩვენთვის საინტერესო კუთხითაც. პოეტური სტრიქონები იტევს ყველა ცნობილ თეორიას ქართველთა პირველსაცხოვრის შესახებ. მას არ გამორჩენია არც პელაგები, არც თუბალები, ურარტუს გამოქვაბულები, ხეთა და მიდია ხომ განსაკუთრებით მახლობელი თემა იყო პოეტისთვის. ურარტუ, ქალდე, ხეთა და მიდია მისთვის გამხდარა საიდუმლოებით მოცული სიმბოლოები; სტრიქონებში ისტორიის გაცოცხლებით, პოეტი საკუთარ ინტიმურ განცდებს გვაზიარებს, მკითხველში კი ქვეცნობიერად აღვივებს და განამტკიცებს ქართველთა შორეული ისტორიის განცდას.

ანა კალანდაძე მთლიანად მოცულია გარდასული წარსულით, მისი ლირიკული გმირები გამოხატავენ ავტორის ფანტაზიას, რომელსაც გადავყავართ დროში, სადაც მზის თაყვანისცემა ისევ მიღებულია, მას ადიდებენ და მსხვერპლსაც კი სწირავენ. მზისადმი მიძღვნილი ლექსების სიმრავლე, სადაც მზეს უამრავი სახე აქვს, უამრავი მეტაფორული სახელი, გვაძლევს საშუალებას ანა კალანდაძეს სამართლიანად ვუწოდოთ მზისმსახური ქურუმი ქალი, როგორც მას როსტომ ჩხეიძე უწოდებს.

ნაშრომს როსტომ ჩხეიძის მონოგრაფიის „ქალდეას მონატრების“ მიმოხილვითა და ანალიზით ვასრულებთ. თავის მხრივ, ეს გახლავთ მტკიცება იმისა, რომ წარსულით დაინტერესება, წინაპართა ფესვების ძიება დღემდე აქტუალობას არ კარგავს. XXI საუკუნის ამ მხატვრულ ნაწარმოებში ავტორი ეძებს ქართული ხასიათის დამახასიათებელი თვისებების ამოსავალს, კერძოდ, მსხვერპლისუნარიანობის,

თავგანწირვის, დაუჯერებელი სიამაყისა და იმ განცდის ახსნას, რომელიც არ გვაძლევს საშუალებას ვიყოთ მეორეხარისხოვანი ერი მსოფლიოში.

მონოგრაფიაში, როსტომ ჩხეიძე სიღრმისეულად განიხილავს თითქმის ყველას, ვისაც კი გაუღია უსასყიდლო მსხვერპლი, მათ, ვისაც დაუჯერებელი სიმამაცე გამოუჩენიათ; თითოეულ მწერალს, პოეტსა თუ პუბლიცისტს, რომელსაც ერთი სტრიქონი მაინც დაუნერია ქართულ ხასიათზე, მისი ამოხსნა ან ლიტერატურად გარდაქმნა უცდია. როსტომ ჩხეიძის მონოგრაფია გახდა ნაშრომის ინსპირაციის წყაროც და მრავლისმომცველი მონოგრაფიული კვლევა, მცირე ნაწილით მაინც იქცა მეცნიერული კვლევად. თამამად შეძლება ითქვას, რომ ეს კვლევა მხოლოდ მცირე ნაწილია წარსულის ლიტერატურული გარდაქმნების უამრავი მცდელობისა და რადგან მოცემული თემა კიდევ უფრო მეტ კვლევა-ძიებას საჭიროებს, გავაგრძელებთ კიდევ შემდგომ მუშაობას.

ამდენად, წინამდებარე ნაშრომში შეძლებისდაგვარად შევძელით დასახული ამოცანის შესრულება და კვლევა ახლო მომავალში აუცილებლად გაგრძელდება.

ბიბლიოგრაფია

1. ასათიანი გ. კრიტიკული დიალოგები, წერილები, პორტრეტები, ესკიზები. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1977. 8.
2. ბატონიშვილი ვ. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. თბილისი: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 1941. 167;
3. გამსახურდია ზ. წერილები, ესეები. თბილისი: ხელოვნება. 1991. 191-195. 214.
4. კალანდაძე ა. თარგმანები პროზაული ნაწერები. ტომი I. თბილისი: საქართველო. 1996. 537-538;
5. კალანდაძე ა. რჩეული. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1976. 184. 281. 202. 214. 89. 213. 126. 239. 206.
6. ლაბაძე მ. პავლე ინგოროყვა და ხეთური სამყარო. ლინგვისტური რომანი, უარგონებზე მეტსახელებზე, ტოპონიმიკასა და ხეთურ სამყაროზე. თბილისი. ჩვენი მწერლობა. 2020. 29-36;

7. პაიჭაძე თ. მოდერნიზმი და ქართული ლიტერატურა. თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2018. 177-195. 249-259. 149-152;
8. პატარიძე რ. ქართული ასომთავრული. თბილისი: ნაკადული. 1980. 73-78;
9. პავლე ინგოროყვა. ქართული დამწერლობის ძეგლები ანტიკური ხანისა. თბილისი: ჩვენი მწერლობა. 2015. 3-66.
10. რობაქიძე გრ. გველის პერანგი, თბილისი: მერანი. 1989. 7-302.
11. რობაქიძე გრ. ჩემთვის სიმართლე ყველაფერია. თბილისი. 1996. 175-179.
12. საქართველოს ისტორია. ოთხ ტომად, მ. ალუდაურის რედაქციით, ტ IV. თბილისი: პალიტრა L. 2012. 5-8. 188-189. 280-286. 325-332. 350-355. 359-361. 423-425. 479-480.
13. სიგუა ს. მოდერნიზმი. თბილისი: 2014. 271-276. 280-283. 56-60-63. 105-108.
14. სიგუა ს. აღთქმული მიწის ძიება. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1984. 52;
15. სიგუა ს. მხატვრული აზროვნება გენეზისი და სტრუქტურა. თბილისი: საარი. 2018. 79-81.187. 280. 318. 405.
16. ტაბიძე ტ. რჩეული. თბილისი: სახელმწიფო გამომცემლობა. 1960. 84. 85. 180. 185. 187. 189. 202.
17. ქართველი მწერლები სკოლაში, გრიგოლ რობაქიძე, ტომი XV. რედაქტორი მურღულია გ. გამომცემლობა საქართველოს მაცნე. 303-312. 422. 426.
18. ქართველი მწერლები სკოლაში. ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი. ტომი VIII. რედაქტორი მურღულია გ. გამომცემლობა დია, თბილისი. 72. 5. 6.
19. ჩხეიძე რ. რევამ გაბაშვილის ცხოვრების ქრონიკა. ვითა სიზმარი ღამისა. თბილისი: ჩვენი მწერლობა. 2013. 533
20. ჩხეიძე რ. მზის შვილები. თბილისი: ომეგა თეგი. 2010. 159.
21. ჩხეიძე რ. ქალდეას მონატრება, თბილისი: ლომისი. 2002. 143.
22. ჩხეიძე რ. მზისშვილი, თბილისი, ჩვენი მწერლობა, 2018; 345-356.
23. ჯავახიშვილი ივ. ქართველი ერის ისტორია. ტომი I. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 1960. 401-441;
24. ჯავახიშვილი ივ. ქართველი ერის ისტორია. ტომი I. ტფილისი: თ.პ.ი. თუმანიშვილის გამოცემა. 1908. 1-3; 11-62.
25. ჯავახიშვილი ივ. ქართველი ერის ისტორია. ტომი I. ტფილისი: სილ. თავართქილაძის გამოცემა. 1928.

ჟურნალები:

26. ჩხეიძე რ. ყოველივე ენერჯის გაშლა. საგურამო. 2018. №14. 19-29;
27. ჩხეიძე რ. მზისმსახურება ქურუმქალური. საგურამო. 2019. №16. 30-38;

ინტერნეტ წყაროები:

28. ჯალიაშვილი მ. აკაკი ბაქრაძე და გრიგოლ რობაქიძე,
<<http://mastsavlebeli.ge/?p=25617>>, [28.02.2021];
29. ჯალიაშვილი მ. რუსთაველი და ცისფერყანწელები,
<<http://mastsavlebeli.ge/?p=13230>>, [26.02.2021];
30. ჯალიაშვილი მ. ქართული პოეზიის დენდები - ცისფერყანწელები,
<http://maiajaliashvili.blogspot.com/2011/01/blog-post_9739.html>,
[26.02.2021];
31. გენების განმარტებისთვის
<<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=3&t=8516>> ,
[26.03.2021].
32. ბაქრაძე ა. მწერლობის მოთვინიერება, ელექტრონული წიგნი:
<<http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/318748?locale=ka>> [15.05.2021]
33. ზვიად გამსახურდიას წერილის დაბუსტებისთვის:
<http://www.nplg.gov.ge/civil/statiebi/saskolo/saqarTvelos sulieri misia.htm>
[26.05.2021]
34. ჭიკაძე რ. ანა კალანდაძის პოეზია - მზის საგალობელი. ოლე. 2015. №1
(24). 50-55;
http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/146449/1/Ole_2015_N1.pdf
[12.06.2021]
35. <http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php?>
36. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php>